

გეორგიული საქართველი



ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GEORGIE COMBATTANTE“

PRIX:50 F.

MENSUEL

N° 8

ფ ე ე ე ე ე ე ე — 1952 — DECEMBRE

N° 8

STATEMENT FOR THE OPENING OF GEORGIAN BROADCASTS

May 26, 1951


by Secretary of State

Dean Acheson

I am very happy to have this opportunity to say a few words to the Georgian people. I have heard a great deal about your beautiful country, its majestic mountains and rich valleys, its impressive relics of the past and the magnificent character and spirit of its people. Although it is true that not many Americans have had the good fortune of visiting Georgia, your country is well known to us. The word Georgia brings back the memory of the Argonauts who sailed in quest of the Golden Fleece, and of Prometheus who stole the sacred fire from heaven and gave it to man — that he may be free. The world remembers how often you Georgians have fought for this principle of freedom, how valiantly throughout your glorious thousand year old history you have defended your ancient culture and Christian civilization. You have been often conquered, but never subdued. You have been able throughout the ages to preserve your national personality, and you have never lost the will to stand up for your human rights. We Americans admire you for this endur-

*Déclaration du Secrétaire d'Etat américain,
M. Dean Acheson, lors de l'ouverture des
émissions radiophoniques géorgiennes,
le 26 mai 1951.*

Je suis heureux d'avoir cette occasion de dire quelques mots au peuple géorgien. J'ai beaucoup entendu parler de votre magnifique pays, de ses montagnes majestueuses, ses riches vallées, ses impressionnantes reliques du passé et le magnifique caractère et esprit de son peuple. Quoiqu'il soit vrai qu peu d'Américains aient eu le bonheur de visiter la Géorgie, votre pays nous est bien connu. Le mot Géorgie rappelle le souvenir des Argonautes qui partirent à la recherche de la Toison d'Or et de Prométhée qui vola le feu sacré du ciel, et le donna à l'homme afin qu'il puisse être libre. Le monde se souvient combien vous, Géorgiens, avez souvent lutté pour ce principe de liberté, avec quelle vaillance dans toute votre glorieuse histoire millénaire vous avez défendu votre culture ancienne et la civilisation chrétienne. Vous avez été souvent conquis, mais jamais subjugués. Vous avez été capables, à travers les siècles, de conserver votre personnalité nationale et vous n'avez jamais perdu la volonté de défendre vos droits humains. Nous autres Américains, vous admirons pour cet esprit d'endurance. Notre pays a été fondé sur une ferme croyance au principe de la liberté et de la justice pour tous; et nos fils ont combattu et sont morts, et



ing spirit. Our country was founded on a firm belief in the principles of liberty and justice for all; and our sons have fought and died and are fighting now for the defense of those principles. The Voice of America will from now on bring you in your own language the truth which the communists fear and try to keep from you. We shall tell you what goes on in the world at large, including the aggressive militaristic actions in the name of peace for which the communist leaders are responsible. Their plots and threats are forcing free men to stand firmly against the further spread of despotism. The ultimate goal of the American people and their government is a peaceful world in which there is no strong and no weak, no master and no slave, but where all men can live and work freely and happily without want or fear and with the right to worship God in their own way. This is our vision of the future; we invite you to share it. I extend to you Georgians in the name of the American people, our sincere friendly greetings.

combattent encore pour la défense de ces principes. La Voix de l'Amérique, à partir de maintenant, vous apportera dans votre propre langue, la vérité que les communistes craignent et essaient de vous cacher. Nous vous raconterons ce qui se passe dans le monde entier, y compris les actes militaires d'agression qui se font au nom de la paix, et pour lesquels les dirigeants communistes sont responsables. Leurs complots et leurs menaces obligent les hommes libres à résister fermement à une étendue de ce despotisme. Le but ultime du peuple américain et de son gouvernement est un monde paisible, dans lequel il n'y aura ni forts, ni faibles, ni maîtres, ni esclaves, mais où tous les hommes pourront vivre et travailler librement dans le bonheur, sans misère, ni crainte, et avec le droit de vénérer Dieu à leur propre manière. Ceci est notre vision de l'avenir; nous vous invitons à la partager.

Je vous adresse à vous, Géorgiens, au nom du peuple américain, notre accueil amical et très sincère.

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

გაკეთებული 26 მაისს 1951 წ. ამერიკის შეერთ. შტატების საგარეო მინისტრის აჩენსონის მიერ „ამერიკის ხმა“-ს ქართულ სექციის გახსნის გამო.

დღღათ ბედნიერი ვარ, რომ მიაქვს შემთხვევა მივმართო რამოდენიმე სიტყვით ქართველ ხალხს.

მე ბევრი მსმენია თქვენს მშვენიერ ქვეყანაზე, მის დიდებულ მთებზე, მდიდარ ველებზე და გამომეტყველ ისტორიულ ნაშთებზე, ხალხის ჩინებულ ხასიათზე და სულიერ სიძლიერებზე.

მცარეა იმ ამერიკელთა რიცხვი, რომელთაც ჰქონდათ ბედნიერება ენახათ თვით საქართველო, მაგრამ ის ჩვენთვის უცნობი არ არის.

სიტყვა საქართველო იწვევს ჩვენში მოგონებას არგონავტთა მოგზაურობისა, რომელნიც იქ ეძიებდნენ ოქროს ვერძს; გვაგონებს პრომეთეოსს, ზევას რომ წმინდა ცეცხლი მოსტაცა და ადამიანს, თავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად გადასცა. ქვეყნიერებას კარგათ ახსოვს ქართველი ერის შეუწყვეტელი ბრძოლა თავისუფლებისათვის ათასეულ წლების განსწვრივ, ძველი კულტურისა და საქრისტიანო ცივილიზაციის დასაცავად.

ხშირად ყოფილა საქართველო დაპყრობილი,

— მაგრამ არასოდეს დამორჩილებული: ქართველმა ხალხმა დღემდის შეინარჩუნა თავისი სახეობა და არასოდეს მას არ დაუკარგავს ნებისყოფა აღმიახლო უფლებათა დაცვის ბრძოლაში. ამიტომაც ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს ქართველი ხალხის ურყევი სულიერი სიმტკიცე.

ამერიკელი ხალხში დაუთურვნიელია რწმენა ყველასათვის თავისუფლებისა და სამართლიანობისა.

ჩვენი მშვილები იბრძოდნენ და იხოცებოდნენ. და დღესაც იბრძვიან ამ პრინციპების დასაცავად.

„ამერიკის ხმა“ დღეიდან თქვენ, ქართველებს, გაძლევს საშუალებას საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმარიტება, რომელსაც კომუნისტები მას უშალავენ.

თქვენ მას ეტყვით, რაც ხდება მსოფლიოში; ამცნობთ მილიტარისტულ და თავდასხმების საქტებს, რომლის პასუხისმგებელი მხოლოდ კომუნისტების მეთაურები არიან.

ამ უკანასკნელთა შეთქმულებას და მუქარას აიძულებს თავისუფალ ადამიანს, შეეძრძოლოს დესპოტიის გაღრმავებას და გაფართოებას.

ამერიკელ ხალხის და მისი მთავრობის საბოლოო მიზანი — საერთო მშვიდობიანობაა, როცა არ იქნება არც ძლიერი და არც სუსტი, არც ბატონი და არც ყმა; მხოლოდ ასეთი მდგომარეობა შესაძლებელი ჰყოფს თავისუფალ და ბედ-

ნიერ შრომას, შიმისა და სილაცუკის გარეშე და იძლევა უფლებას თვითეულმა იწამოს ღმერთით თავისებურად.

ასეთია ჩვენი წარმოდგენა ნომავალზე; გიბმობთ ეს გაიზიაროთ. ჩვენი ხალხის სახელით მოგმართავთ ქართველებო, მეგობრული და გულწრფელი სალამით.

Last year, on May 26, Mr. Dean Acheson, Secretary of State, addressed to the Georgian people a message of great importance, the text of which we are reproducing in English, French, and Georgian.

Our Government greeted this big event by sending to Mr. Dean Acheson, in the name of the Georgian people and in its own, a letter of deep gratitude. And, through the United States Embassy in Paris, Mr. Acheson transmitted to our Government an answer full of sincere cordiality.

This event reminds us of the joint resolution presented some 26 years ago to the Senate and to the House of Representatives, in which the United States Government, while severely condemning the aggression of Moscow and the occupation of Georgia, asked for funds to permit the President to delegate an official representative to Georgia when her independence would be re-established.

The main point of this resolution is that its authors declare that Georgia is provided with a «written Constitution». It is a fact, and we know it, that amidst the nations liberated after the first World War, the Georgian people were the *first* to call a Constituent Assembly and to elaborate, notwithstanding so many difficulties, a Constitution of the Democratic Republic of Georgia.

Without undertaking to examine the minutes of two meetings of the Committee on Foreign Affairs of the House, we wish

L'année dernière, le 26 Mai, Mr. Dean Acheson, Ministre des Affaires Etrangères des Etats-Unis d'Amérique, adressait au peuple Géorgien un message d'une importance capitale, et dont nous reproduisons le texte en Anglais, en Français et en Géorgien.

Notre Gouvernement, saluant alors ce grand événement, faisait parvenir à Mr. Dean Acheson une lettre de profonde gratitude au nom du peuple Géorgien et en son nom propre. Par l'intermédiaire de l'Ambassade des E.U.A. à Paris, le Ministre des Affaires Etrangères, transmettait à notre Gouvernement une réponse empreinte de sincère cordialité.

Set événement nous rappelle la résolution présentée quelques 26 ans avant, au Sénat et à la Maison des Représentants, — résolution dans laquelle le Gouvernement des E.U.A., tout en condamnant sévèrement l'agression de Moscou et l'occupation de la Géorgie, — demandait des fonds pour que le Président puisse accréditer un représentant officiel auprès de la Géorgie, lorsque son indépendance serait rétablie.

Le fait le plus marquant est que les auteurs de cette résolution déclarent, que la Géorgie est pourvue d'une «Constitution écrite». En effet, nous savons que parmi les peuples libérés à la suite de la Première Guerre Mondiale, le peuple Géorgien fut le *premier* entre autres, d'avoir convoqué une Assemblée Constituante et élaboré — au milieu de tant de difficultés, une constitution de la République démocratique de Géorgie.

Sans aborder l'examen des procès verbaux de deux séances, prises par la Commission des Affaires Etrangères de la Mai-



to mention, however, the significant fact that the Georgian Constitution, as well, as minutes et other documents, pictures representing a volume of 361 pages, has been published in English by the Government's Printing Office in Washington, as far back as in 1926!

son des Représentants — nous mentionnons cependant ce fait significatif que la Constitution Géorgienne, ainsi que procès-verbaux et d'autres documents, tableaux, et formant un ouvrage de 361 pages, fut édité en Anglais, par l'imprimerie du Gouvernement de Washington — déjà en 1926!

ამერიკის უ. შ. გარეშე საქმეთა მინისტრის ბენდინ აჩესონის მიმართვა ქართველი ერისადმი, შარშან 26 მაისს, რომლის დედანსა და ფრანგულ, ინგლისურ და ქართულ თარგმანს აქვე ვაქვეყნებთ, არის უსაზღვრო მნიშვნელობის აქტი.

ვანსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ რეზოლიუციის ავტორნი აღნიშნავენ — საქართველოს აქვს თავისი „დაწერილი კონსტიტუცია“-ო. და ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან პირველი მსოფლიო ომის შედეგად განთავისუფლებულ ერთა შორის ქართველმა ერმა ყველაზე წინ მოიწვია დამფუძნებელი კრება და მიუხედავად ათასგვარ დაპრკოლებათა, დააკანონა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ამ დიდ ფაქტს ჩვენმა მთავრობამ იმ თავითვე აულო ალლო და წერილობით უძღვნა ბენდინ აჩესონს, ქართველი ერის და თავის სახელით, უღრმესი მადლობა, რაზედაც მან, შესაფეროთბილი პასუხი გასცა.

არ იფხებით წარმომადგენლობით დაზღაზის საგარეო კომისიის მიერ ორ სხდომაზე რეზოლიუციის განხილვას, აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ანგარიში ამ მსჯელობისა, და რაც მთავარია, ჩვენი კონსტიტუცია და სხვა ბევრი საბუთი, რჩეული სურათებით, მოზრდილი ტანის 361 გვერდ. წიგნი, სწორედ იმ დროის მთავრობის სტამბაში დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე, კიდეც 1926 წელს!

ეს ამბავი ჩვენ გვაგონებს 26 წლის წინ, ანგარიკის უ. შ. სენატში და წარმომადგენლობით დაზღაზში შეტანილ რეზოლიუციას, რომელიც კიცხავს რა სასტიკად მოსკოვის მთავრობას საქართველოზე თავდასხმა-ოკუპაციის გამო, მითხოვს კრედიტის გაღებას, რათა პრეზიდენტმა თავისი იულიო გაუგზავნოს საქართველოს რესპუბლიკას, როცა ის კვლავ აღსდგება.

ს.ს.რ. კავშირის კომუნისტური პარტია

(მე-19 ყრილობის გამო)

კომპარტიამ გამოიცვალა სახელი. ბოლომდე კობა მონცილა, რადგან ის ძველი, რევოლიუციონური წარმომობის იყო. დაირქვა პირწმინდათ საბჭოთა კომუნისტური პარტია. მოწყდა თავის ჭიპს, მარა მიიღო ახალი სახე? შეიცავს ის რაიმე ახალს და საყურადღებოს? ჩვენ ვფიქრობთ რომ კი. რატომ იფიქრობთ ასე?

დებებით: ხალხს ჩამომოზოდენ, მედიდურობა და იწყეს, „თვითკრიტიკა“ და „ქვემოდან კრიტიკა“ უკულებელყვეს; ან კიდე უარესი: „მოსყიდული ჯამუშები“ გახდენ უცხო სახელმწიფოსი, ვინ თურქეთის, ვინ ამერიკის კაპიტალიზმის, ვინ ევროპის გახრწნილ ბურჟუების და სხ.

პირველათ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ვაზრემობას რომ კომპარტიისთვის ეს წელიწადი დაიწყო შინაგანი ძვრებით, მოუსვენრობით; მოხდა „წმენდა“ პასუხისმგებელ პარტიულ ორგანიზაციების, ყველა ოდნავ გავლენიან და ადგილზე გამაგრებულ კომუნისტურ მოხელეებისაგან. (მოლვაწეები მათ არ ყავთ). იანვრიდან ივნისამდე გაგრძელდა ეს ჩვეული, მაგრამ მაინც უცნაური და მოულოდნელი ოპერაცია, ცნობილი ბრალ-

მაგრამ ერთი მიზრძანეთ, რომელი კომუნისტს არ მიუდგება ეს ბრალდება გორელი „დიდი ხალხთა მამიდან“ დაწყებული უკანასკნელ „იჩეიკის“ სეკრეტრით გათავებული?

კომუნისტები ხომ თვით კონსტიტუციით პრივილეგიურ, გაბატონებულ, სავალდებულო ხელმძღვანელ ავანგარდათ არიან გამოცხადებულნი. და, მაშასადამე, ყოველი შესაძლებლობა აქვთ ხალხს ხევიდან დაჰყრონ, მასზე თავნებურათ იფარფაშონ. არც შეიძლება სხვა ნაირათ სოცი-



ალური ძალთა განწყობილებების კანონით. გამტყუ-
მლობა და გაუტყანლობა მათი ხელობაა.

მაგრამ ეს ფლადი და უდიდესი კომუნისტური
„ბატონები“ თუ ერთი მხრით ქვეყანას სჭამენ,
ნეორე მხრივ მსუნაგ ძალღივით ერთმანეთს
სჯიჯვენან; და მომრევი დამარცხებულს ამ სა-
ერთო ძნელათ უარსაყოფელ ბრალდების ქვეშ
აყენებს, რომელიც არსებითად ყველას უდგება.

ასე წელსაც; მაგრამ წლებადღეო „წმენდას“
— მაშინ არ სჩანდა — სულ სხვა დანიშნულე-
ბაც ჰქონია: ნიდავის მომზადება მომავალი
ყრილობისათვის, რომლის მოწვევის შესახებ არ-
აინ არაფერი იცოდა, ვარდა კრემლის შეთქმუ-
ლებისა, და რომელზედაც ერდგულზე უქრდგუ-
ლესი ახალი „ვიდეოყენისი“ ახალგაზრდობა უნ-
და ყოფილიყო წარმოდგენილი, რომ ამ რიგათ
ყრილობა ძველი კომუნისტებისაგან მოსალოდ-
ნელ სიურპროზებისაგან გაერთიანისუფლებით.
ვინ იცის, რომელიმე მათგანს იქნებ საკუთარმა
აზრმა გაუელოვა თავში მრავალ წლის ბატონო-
ბის განმსვლობაში! კრემლი კი ამისთანებს არ
იმიენს. გორელ ბატონის მარტივ, მაგრამ ჩაჯი-
ნებულო გონებას უყვარს მხოლოდ ტაში და ხოტ-
ბა! ოდნავ დამოუკიდებელი აზრიც კი მისთვის
სახიფათოა. ამიტომ მოხდა ასე პირწმინდათ გა-
სუფთავება „საბრძოლველი“ მოედნის. განსაკუ-
თრებით საქართველოს, უკრაინის და ბელორუ-
სიის კომუნისტური მეთაურობა იქნა გაცხრილე-
ლი. სხვა რესპუბლიკებიდანაც გამოცოცხეს აქა-
იქ. მხოლოდ ასეთ უზრუნველყოფილ ატმოსფე-
რაში ინება „მშობლიურმა“ კობამ 13 წლით და-
ვიწყებული პარტიული ყრილობის მოწვევა.

ან რა იქჩარებოდა, ან აქამდე რათ იგვიანებდა?
ვისაც სტალინის გენიალური ჯამბაზობის უნა-
რით შიშის ქარი აქვს გვერდებში გამდგარი და
„მამა ქვეყნის“ მართლა უსაზღვრო ძლიერებით
აღჭურვილი გონია, მას ეს საკითხი მხოლოდ კა-
პრიზის საკითხათ მოეჩვენება: „აქამდე არ სურ-
და, ახლა მოეხასიათა და იწვევს“-ო. მორჩა და
გათავდა.

ნამდვილათ კი მდგომარეობა არც ასე მარტი-
ვია. საქმე იმაშია, რომ ტოტალიტარულ რეჟიმს
აქვს თავის კანონი მინაგანი სვლისა და მოძრა-
ობის, ისტორიულსათ მოცემული, ურყევი და გა-
რდაუვალი, რომელსაც თვით უსაშინელესი დე-
სპოტიური ხელისუფლებაც ვერ აუფლის გვერდს.
დიდებულ სტალინსაც სჭირდებოდა, უთუოდ
სჭირდებოდა ახალი ყრილობა, არა იმდენათ გა-
ნელილ ცვლილებების აღსაბეჭდავათ, არამედ

უფრო მეტათ, ახალ პოზიციებზე დიქტატური-
სათვის ახალი გასამაგრებელი საშვალეების მო-
საბოვებლად.

წარსულმა ცოდვებმა მოითხოვეს „წმენდა“
და ხალხის წინაშე ჩადენილ ყველა დანაშაულის
„გაწმენდილებზე“ აკიდება, ხოლო უდიდესი და-
მნაშავის, რომელიც მოსკოვში ზის, მშრომელთა
ინტერესების მოუსყიდველ დარაჯათ მოჩვენება.
დაჭირავებულმა კალმებმაც—და სხვა გვარი კა-
ლანი საბჭოთა სამფლობელოში არ არსებობს —
უმეტეს ქება გენიალური ყრილობის მომწვევის:
რაცაც გაღგონარმა გუნდრუკის კმევამ მოიცივა
მთელი ყურნალ-განეთები, უჩვეულომ თვით სა-
ბჭოთა ქვეყანაშიც-კი. თვით „გენიალურმა მემ-
კვიდრემ გენიალურ ლენინისა“ — მისცა საბაბი-
ასეთი თავგამოდებითი ლადადისის. დასწერა ურ-
თი წერილი: ყურნალ „ბოლშევიკ“-ში „ეკონო-
მიური პრობლემები სოციალიზმისა სსსრ კავში-
რში“ ის აჩრდილი ცოდნის, არც დიდი ნიჭის მა-
ჩვენებელია. შეიცავს უნგელსის ცოტაოდენ გა-
დამახინჯებას, ცოტა ოდენ შეკეთებას და გასა-
ბჭოებას. სამაგიეროთ სავალდებულოა და სასა-
რულუბელი. ვინ შეუბრუნებს ენას? პირიქით.
სტატია, ისე, როგორც ყოველი ნათქვამი სტა-
ლინის, გამოცხადდა გენიალურ ქმნილებათ, მისი
მითითებანი — ახალ მოძღვრებათ, რომელიც
საბჭოთა დამწველ მონაშრომელთ ვადაყვანს
პირდაპირ კომუნიზმის უზრუნველყოფილ ბედ-
ნიერებაში. და მკითხველი თვითონაც ადვილათ
მიხვდება, რა იქნებოდა ამის შენდევ თვით ყრი-
ლობაზე, რომელსაც წინდაწინ ეწოდა „სტალი-
ნური ყრილობა“.

არც ერთი აზრი, არც ერთი იდეა, აჩრდილი
ორჭოფული გამოთქმა, არაფერი ვარდა სტალი-
ნის ამ სტატიისა. იმეორებდენ ერთადიანსვეს
სხვადასხვა კილოზე, უმეტესათ კი ერთი და იმ-
ავდ ფრაზებით, რომ გადახრა არ დაბრალეო-
და. იყო უსაზღვრო ქება „ხალხთა მამის“, ძა-
გება და აუფი ამერიკის შეერთებული შტატების.
სკუთარი აზრის ნატამალის გამოჩენასაც კი
არაინ ცდილა. სჩანს „წმენდამ“ გასკრა. ყვე-
ლაფერი რიგზე იყო ასი პროცენტით. გაჩვენუ-
ლათ მაინც.

მაგრამ ყველაფერი რიგზეა?
ჯერ თვით წინასწარი „წმენდაც“ იძლევა ამის
იქვებს. შემდეგ თვით აღფრთოვანებულნი ყრი-
ობაც, რომელიც ყოველი ორატორის მაგიერ
სტალინის ხსენებას უკრავდა ტაშს და არა აზრს
ან დასკვნას.



რას მოხდა ამ ყრილობაზე?

ბევრი რამ საყურადღებო, რომელთაგან, პირველ ყოვლისა, რაც თავში მოვიხსენიებთ: „ბოლშევიკობა“ ჩაბარდა ისტორიას. ის ლენინის ნაცოდველივე საქმეა: მისი დასაწყისიდან მოდის. სტალინს მასში წილი არ უდევს. დღეს კი ვინ არის მბრძანებელი, ფენიალური, შემომქმედი, მამოძრავებელი?

სტალინი დგება საკუთარ ფეხზე. „ბოლშევიკები“ სოციალისტობდნენ; ეს გადასული ხანაა. დღეს სტალინს მოაქვს უმადლესი და საბოლოო ფორმა კაცთა ურთიერთობისა: კომუნისტური წყობილება. დიქტატორი ადის ერთი დიდი საფეხურით მაღლა, თუ მცუტით არა. სამაგიეროთ ქვეით იწვევენ და დაბლა ჩამოდიან დანარჩენი „მეთაურები“.

კომუნისტურ პარტიის წევრთ „დიდა“ და „პატარას“ — ყველას განურჩევლათ ედებათ ახალი და მძიმე მოვალეობანი; ამათში უმთავრესია: ყოველი შეცდომის დანახვა და მხილება, ე. ი. ერთმანეთის დაბეზლება, რასაც პარტიის წინაშე სიმართლის გამომჟღავნება ეწოდება. შინ და გარეთ მტრების ძიება, მონახვა და სასჯელში მიცემა. ე. ი. ავენტურის ხელობაში გაწაფვა. კრიტიკა შეიძლება ყველა პიროვნების, გარდა „მამისა“, რასაც ვიჩივლია. დანარჩენნი ამ მხრივ თითქმის გათანაწორებული არიან; მაგრამ არ შეიძლება, რასაკვირველია, პარტიული პოლიტიკის გაკრიტიკება. არც დისკუსიის გამართვა ისეთ საკითხებზე, რომელიც ღვთიური, უკაცრავათ, მშობლიური სტალინიდან მოდის. დისკუსია, თუ ზევიდან ბრძანება იქნება, უნდა გაიმართოს ისე ორგანიზებულათ, რომ არც ორი აზრი გამოჩნდეს, არც ერთიანობა აზრის დაიროგოს. პარტია უნდა უზრუნველყოფდეს იყოს წინაწინავე ყოველგვარი ფრაქციონიზობის მიმოჩინებისა. თუ გახრილი აზრების გამოჩინება: დისკუსია ირთსყოლოვანობის!

ორი აზრი არ იტყვას ერთად დიქტატორის და მოსიანთა გონებაში! ერთივე საკმარისი - საკმარისია!

ასეთი კენტრალიზაცია აზროვნების მოითხოვს იგი იწვიოს კენტრალიზაციას ორგანიზაციულს. ს.ს.რ. კადრები კი სიტყვიერათ მანერ „დამოუკიდებელ და თავისუფლათ შეკავშირებულ რესპუბლიკებს“ წარმოადგენენ, თავ-თავის კომპარტიით. „გენიალურათ“ შემოუარეს ამ დაბრკოლებებსაც! რესპუბლიკათა კომპარტიების ყოველი ავტონომიური უფლებები გაუქმებულ იქნა.

მათ უფლება მიეცათ მხოლოდ იყოლიონ სახელათ ე. წ. „ცეკა“ — 11 წევრისაგან, რომელშიდაც სანნი იქნებიან მდივნებათ; ხოლო ჭკურის დამრიგებლად და კონტროლათ მიუჩინეს განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც ს.ს.რ.კ. ცენტრალური კომიტეტი გამოყოფს. ამ რიგათ ამიერიდან კომპარტიას აქვს მხოლოდ განყოფილებები რესპუბლიკებში. აქამდე ასე იყო ფაქტიურათ, ახლა ეს არის დაკანონებული! რადგან ხანდისხან მანერ ფაქტიური მდგომარეობა ირღვევოდა ხოლმე სტატუტის მიხედვით, დღეიდან ასეთ თავხედობის შესაძლებლობასაც უნდა ბოლო მოეღოს!

სტალინის მხალი გონიერება ქმარა კომპარტიისათვის ყველგან და ყველგვარში.

თვით ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანიზაციის სტრუქტურსაც ასეთივე ცვლილების საგანი გახდა. გეგოლინებათ, 4-5 სხვადასხვა ხელმძღვანელ ორგანიზაციების ნაცვლად დაკმაყოფილდენ ორით: ცეკას პრეზიდიუმით და სეკრეტარიატით. მეტი მსოთლაც არ იყო საჭირო. ამ ორში კი თვით სტალინი, საკუთარი პერსონით ზის, როგორც ხელმძღვანელი. ის არის თავმჯდომარე პრეზიდიუმის და გენერალური მდივანი სეკრეტარიატის. ამას დაუმტეთ, რომ ის არის აგრეთვე ოფიციალური მთავრობის თავმჯდომარეც, ჯარის გენიალური მარშალიც და თქვენ დარწმუნდებით, რომ კომუნისტურ პარტიიდან დარჩა მხოლოდ ერთი პიროვნება: ახლა მას შეუძლია თქვას ლიუდოვიკ მეთოთხმეტესაკით: საბჭოთა კავშირი — ეს მე ვარა.

ამ რიგათ: არის „მშობლიური“ დიქტატორი და მის გარშემო დიდი სიცალიერე. შემდეგ მოსდევს მეორე ხარისხიანი „მთავრობის აღმასრულებელი“ — მოლოტოვი, ბერია, მალენკოვი და სხ., რომელთაც რიგ-რიგობით უბრძანებს და ალაპარაკებს სადღესასწაულო თუ სხვა საჯარო გამოსვლებზე დიდებული „პატრონი“ — სრულიად საბჭოებისა და ყველა „სახალხო რესპუბლიკებისა“, რათა არც ერთი მათგანი არ იქნეს „ჩიული“ და, ვინ იცის, მეტოქეთ დასახული ხანში შესულ დიქტატორისა. საშიშია ერთი მეტოქე: სრულიად უშიშარი არიან 4 და 5 ერთმანეთზე მიჩივრებული მეტოქენი.

ამ საქმეში სტალინს დიდი გამოკვლილება აქვს მიღებული! გაიხსენეთ რამდენი აბრძოლა ერთმანეთის მოქიშვე — მემარჯვენე - მემარცხენე - მეტროცისტენი და ერთი-მცორე დააქლევინა! კაცთა გაწყვეტაში ის ჯოჯოხეთის გენიაა, ან



გენა. ან ორივე ერთად. ამ რიგათ, სტალინი ჩა-
დგა ყველგან სათავად — ჩადგან სხვას ვერავის
ენდობა იგი ამიერიდან.

თუ გაისხენებთ, რომ ასევე დასჭირდა ყველა
პასუხისმგებელი პოსტების თავის ზეღში აღება
ჩვენ თვალ წინ გერმანიის პიტლერსაც და იტა-
ლიის მუსოლინისაც, ორივე დიქტატორს, რომე-
ლნიც მხოლოდ ფერით განიზიარდნენ სტალინი-
საგან — შეიძლება თქვენც დაგებადოთ აზრი,
რომ, ალბათ, ასეთი უნდა იყოს ალტერნატიული
მოთხოვნისება დიქტატურის მალა და უკანა-
სკენელ საფეხურზე ასვლისა, ბედის-წერით მიკუ-
თვებელი.

სტალინს, გეხსომებათ, ერთ ხანს გენერალურ
მდივნის თანამდებობის იქით არაფერში არ სუ-
რდა მონაწილეობის მიღება. უკანასკნელ ომის
წინ ინება მთავრობაში გადასვლა, შემდეგ ლო-
ლიკურის ალტერნატიულით გახდა მარშალიც, მა-
შინ აძლებდნენ ამ თანამდებობებს, დღეს კი თვი
თონ მოდის, ძალით დგება ყველგან, ყველა პო-
სტებზე. შეიცვალენ მდგომარეობა და გაჩემოე-

ბანი: ადის მალა მწვერვალზე, საიდანაც მხო-
ლოდ თავდადმართისაყენ არის გზა დარჩენილი.

ნაპოლეონი ამბობდა წმ. ელენეს კუნძულზე
განმარტოებულნი: „ჩემი დამარცხების მიზეზი
ის იყო, ბატონებო, რომ ერთ კაცს არ შეუძლია
მთელ ევროპას მოუაროსო“.

სტალინი მთელ ქვეყანას ებოტიინება მოსაყ-
ლელოთ და საბატონოთ. წმ. ელენეს კუნძული
მოელის მას ამის შემდეგ, თუ უარესი—გვეტყვის
ახლო მომავალი. მაგრამ რომ ერთ კაცს ამდენი
ქვეყნის მოვლა არ შეუძლია, ამაში ნაპოლეონი
ცამდე ნართალია.

მოვიცადოთ და ენახავთ. ვიბრძოლოთ და მი-
ვალწევთ.

რ. არსენიძე.

P. S. ჩვენ აქ განვიხილეთ მხოლოდ ორგანი-
ზაციული შედეგები მე-19 ყრილობის. მის პო-
ლიტიკურ იდეოლოგიურ შედეგებზე შემდეგ.

რ. ა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი
ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ-
მა ვულკანისებურმა ძვრებმა ძირეულათ შესც-
ვალა ცხოვრების საფალი გზები და მასთან ერ-
თად ყოველგვარი წარმოდგენა წინანდელი აზ-
როვნების შინაარსისა და მისი გარეგნული გა-
მობატულებისა. როცა ჩვენი ქვეყნის სინამდვი-
ლეს გადახედავთ და მის ირგვლივ ნიშობიე-
დავთ, თქვენს განცვიფრებას საზღვარი არ ექ-
ნება იმ სიჩუმით, რომელიც გამეფებულია მთელ
მხარეში. პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც
დამოუკიდებლობის დროს დღდა და გადაადუ-
ლდა, ერთადე გაჭრა და ქვეყანას სრული დუ-
მილი დაეფლას; ჩვენი ხალხის მხიარული და
ბუდამ მომღიმარე სახე მწუხრის სუდარამ და-
ფარა და როგორც ტბის ძირზე გროვდება ლექი,
ისე ბოღმა და მწუხარება, სადღაც გულის კუნ-
ჭულში იძირება და იღეჭება. „არსაიდან ხმა,
აზრიდ ძახილი, იდგა სიჩუმე ვით მკვდართა ძი-
ლი“, სწერდა პეტეტი და სწერდა თითქოს სა-
დღისით, რაღაც მისტიური წინათგრძობით.

საზოგადოებრივი ცხოვრების ზედა პირზე თა-
რეშობს ერთად-ერთი პარტია — კომპარტია.
პოლიტიკური ცხოვრების ყოველგვარი საშვა-

ლებები საფებით მის ხელშია. მთელი პრესა,
მთელი მწერლობა, სხდომები, კრებები, მიტინ-
გები, რადიო, სინემა, თეატრი — ყველაფერი ეს
მისთვისაა. სხვა აზრის გამომხატველი არაფერი
არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. არ-
ამც თუ პოლიტიკური კრება, უბრალო ამხანა-
გური თავისმოყრაც კი არ შეიძლება. ყოველ-
გვარი ფორმა პოლიტიკური აქტივობისა სრულ-
ლიად განიორიქებულია. მართალია, კომუნისტე-
ბის კრებებს და მიტინგებს ყველა ესწრება, მა-
გრამ ესწრება იძულებით, შიშით, რადგან არ
დასწრება ნიშნავს უკმაყოფილების გამომჟღავ-
ნებას, რომლის შემდეგ ყველამ კარგათ იცის.
ამ კრებებზე რაიმე კრიტიკით, თუ ისეთი წინა-
დადებით გამოხვლა, რომელიც არ ეთანხმება
პარტიის ხაზს — ნიშნავს, უეჭველათ, ციხეში
წასვლას და რა გასაკვირია, თუ ამას ყველა იერი-
დება.

არამც თუ კრიტიკა, დიდი დახელოვნებაა სა-
ჭირო, რომ ასეთ კრებაზე ჩუმათ ჯდომითაც საე-
ჭვოთა სიაში არ მოხვდეთ. კრება საფსეა ფარული
აგენტებით, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებენ
არა მხოლოდ იმას, რომ ეინმემ არეულობა თუ
ინცინდენტი არ გამოიწვიოს, არამედ იმასაც თუ



ვისზე რა შთაბეჭდილებას ახდენს მომხსენებელის თუ სხვა პარტიული ორატორის სიტყვები. შეიძლება თქვენ მეტად გულშოდგინეთ უსმენდეთ ორატორს, მაგრამ რაიმე ასოციაციით, თუ უბრალო მოგონებით, ოდნავ გაიღიმეთ იქ, სადაც ეს არაა საჭირო, ანდა შეიშმუნეთ თუ გინდ ერთი წუთით, რომელიმე დადგენილების კითხვის დროს — ეს საქმარისია ჩაგწერონ უკმაყოფილოთა, ან პირდაპირ მოწინააღმდეგეთა სიაში. ამიტომაც რომ იმდენათ კრებაზე დასწრება კი არ აწუხებს ხალხს, რამდენათაც აშინებს თვით კრებაზე თავის დაჭერა: არ ჩამოვიძინოს, არ მოაგონდეს რაიმე, შეუფერებელ ადგილას ტუჩებმა უნიბლიეთ არ გაიღიმოს, არ ჩაულაპარაკოს რაიმე მის გვერდში მჯდომს და სხ. და სხ. და რაოდენაც კრებაზე მიდიან, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ მოხსენების გასმა თავის აზრი გამოსთქვან, ანდა უპაყონ მიუღებელი რეზოლიუცია, არამედ იმას ცდილობენ, რომ მისა და უნებურათ, არაფერი შეემთხვას და შინ მშვიდობით დაბრუნდენ. გარეშე კაცი ვერც კი წარმოიდგენს იმ „ბედნიერებას“, რომელსაც განიცდის საბჭოთა ნოქალაქე, როცა ასეთი კრებიდან ის, მისი აზრით, უნებლათ გადაიჩა, რაოცა კრებიდან ბრუნდება იმას კი არ იგონებს თუ რა თქვეს და რა მიიღეს, არამედ ანალიზს უკეთებს თავის ყოფა-ქცევას კრებაზე და თუ დაიწყებდა, რომ არაფერს „კრიმინალურს“ არ ქონია ადგილი, (წესიერათ იჯდა, საჭირო ადგილას ტაში დაუკრა, სტალინის შესახებ უნაშეფერი ტონით წამოიძახა და სხ.) მისი მხრით, არხინათ შეედის სახლში და მადიანათაც შეექცევა თუ რაიმე დახვდა საგანშობით.

ყველაზე უფრო სასიფათოა კრების დასასრული, როცა მომხსენებელი ხმა მალა - შეწყვიტებს: გაუმარჯოს ჩვენს მშობლებს, ჩვენს გენიალურ სტალინსო. ეს უნდა შესძახო შენც, მაგრამ შესძახო გამოსონილათ, ისე რომ შენი ხმა არ განიჩეოდეს სხვებისაგან. თუ დაასწარი, ან სხვებზე უფრო ხმა მალა დაიძახე — ეს შეიძლება ცუდ ნიშანათ მიიღონ. არა ერთი შემთხვევა ყოფილა, რომ დაუბარებიათ ნოქალაქე გეგუში და უკითხავთ: რა შთაბეჭდილება გეგუში კრებაზე ასე თანამოქალაქეული ყვიროდი — გაუმარჯოს სტალინსო. გადაჭარბებული იტრდგულებით მოვიციდა თუ დისონანსი გინდოდა შეგეტანა საერთო მწყობარშიო. ან და უთქვამთ: სხვები თუ ასე მალა იძახიან, შენ ვისი რა ხარ, რომ თავს არ იწუხებ და შენთვის ბუტბუტებო

და სხ. თუ ღმერთმა ქნა და ამ ხელათ გადაიჩა, მეორე ვაზობისათვის უფრო ფრთხილათა და ყოველნაირათ ცდილობს ანსაბლი არ დაარღვიოს. ასე იქმნება ის შთაბეჭდილება ერთსულოვანობისა, საერთო ინტუიციისა და საერთო მანიფესტაციისა, რომელიც ასე აკვირებს შორიდან მაყურებელს.

ჩვენი მკითხველისათვის ყოველივე ეს მეტად წვრილმანია, შეიძლება სასაცილოც იყოს, მაგრამ საბჭოთა ნოქალაქისათვის, მერწმუნეთ, ეს პირდაპირ საბედისწერია.

ნათქვამია — ომი ადამიანში ცხოველურ ტენდენციებს ამჟღავნებს და ცხოველური ინსტიქტებს ანვითარებსო. კომუნისტურმა რეჟიმმა ომის გარეშეც მოახერხა შეექნა ნოყიერი ნიადაგი სიმხვიცისა და ველურობისათვის. წინეთ უბრალო მკვლევობაც კი საერთო აღშფოთებას იწვევდა. განსაკუთრებით უსაზღვრო იყო ზისლი ჯალათისადმი. ჯალათი უმეტეს შემთხვევაში მოჰყავდათ რუსეთიდან, მალაუდენ სადაც იმ დამემდე, როცა განაჩენი უნდა მოეყვანა სისრულეში. ახლა? ახლა ჯალათი დატვირთულია ლენინის ორდენებით, ისე მიდის ციხეში ათეული უდანაშაულო პირის საარდაფში ჩასახოცათ, თითქოს ქორწილში მიდიოდეს; მოათავებს რა ამ თავის მხეტურ საქმეს, დაიბანს სისხლიან ხელს და არხენათ წავა ან თეატრში, ან სხვა საკრებულოში დროს გასატარებლათ ამხანაგ-მეგობართა შორის. ძველი დროის ადამიანის ფსიხიკა ორგანიული ვერ უჩრიგდებოდა ასეთ მოვლენებს. ახლა კი კომუნისტურმა აღვირწახნილობამ შემოახია ადამიანს ცივილიზაციის ის თხელი საფარიც, რომელიც მას ფარავდა და საცხებით ტიტველი დასტოვა. სიცოცხლემ დაჰკარვა ყოველივე ფასი, მორალური შეგნება დაჩლუნდა, უფლების და ზნეობის ნორმები წაიშალა. და დღეს სახელმწიფოს სახელით ადამიანს კლავენ არა უბრალოთ, არამედ სადისტურთა წამებით, ერთის დანაშაულისათვის პასუხისმგებელი ხდება ათეული და ასეული ისეთი პირები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ქონია მომხდარ ამბებთან. ვახსოვთ, ალბათ, გურიში ობოლადის მოკვლისათვის, მტეხის ციხეში დახვრიტეს ასეული ისეთი პირები, რომელთაც არც კი იცოდენ, თუ რა მოხდა. მძევალთა შემოღება საყოველთაო ნორმათ იქცა. ხშირათ ერთი „ბანდიტისათვის“ პასუხისმგებელი ხდება მთელი სოფელი;

(გაგრძელება იხილეთ მე-10-ე გვერდზე)



ჯ ა ლ ა თ ი

ცოდვილი ხარ, წაწყმენდილი,
ვით ბალახი ხალხსა სთიბავ.
მთელს ქვეყანას შიშის ზარს სცემს
შენ რომ ბოროტებსა ზიდავ!

სისხლში სცურავ, არ გეტყობა
დანანება, არცა დაღლა,
შენი ხალხის ღალატიდან
იწყე დენა მალლა - მალლა!

ზევით რომ ხარ, ბრბო გიყურებს,
და ჰგონია სიბრძნით ადი,
მკვდრებს უგალობ, ცოცხლებს თავს სჭრი,
სისხლის მსმელათ დანაბადი!

შენი ხალხის ბუნებაა:
სიყვარული, ყვაველები,
მთას დაჩრდილავს, რომ ააწყო
შენგან მკვდრების ცივი ძვლები!

ვერასფერი მოიგონე
რეტინამა უკეთესი,
მთელ ქვეყანას ცეცხლს უკიდებ
ისე, როგორც აბედს კვესი!

შობის დღიდან რაც იარე,
უკულმართად ნარებიან.
ვინც გიცნობდა, არ უყვარდი,
შენც არავინ გყვარებია!

მუშების სიყვარულს ყვირი
მეფეების სასახლიდან,
მუშა არვის უყლელთა
შენებრი ქვეყნის უაჩენიდან!

გზას დარაჯობ, ჯოჯოხეთში
შიშობ გაჩნდეს ხსნა და შეება,
მადლი არ გწამს, გაამეფე
ხანჯალი და საღრჩობელა!

კაცის ხორციით მოვაჭრე ხარ,
ხელთ გიპყრია ბასრი დანა,
ყველას ცული გამოსჭერი
არ გიმღერა ვინც ოსანა!

ქურდი ხარ და მატყუარა,
საუცხოვო განძს იპარავ:
თავისუფალ ყვირილის ქვეშ
მთელი ქვეყნის ბორკილს ფარავ!

შენ სახელს და ბნელ საქმეებს
შორს წაიღებს დრო და ხანი,
სისხლის ღვრაში გაასწარი,
უკან დაგრჩა ჩინვის ხანი!

ბევრს ჰგონია დახსნა მოდის,
ბებური ხარ, მოჰკვდე უნდა,
ბევრი ნატრობს თითონ მოგკლას,
დაგაყაროს ქვა და გუნდა!

მე ამ ჯარში არ შეედივარ,
მსურს ცოცხალი იყო, ეგდო,
სისხლით შექმნილ სიმაღლიდან
ოღონდ ხალხს ძირს ჩამოეგდო!

იწვალო და იჯახირო,
აწვალელები როგორც შენ სხვას,
არ შეგეძლოს მოუერიდო
გახლებულ ხალხის რისხვას!

ბრბომ გიხილოს განკიცხული,
წაქცეული და მასხარა,
მიხვდეს შენგან რაც იწვალს
და რამდენი სისხლი ღვარა!

ყველა შენგან მკვდრების ჩრდილი
გეძახოდეს: რასა გვერჩოდო?
შენი გრძელი ცოდვა - ბრალი
ცოცხალს გაწევს როგორც ლოდი!

წინ მარადის ვეხატოდეს
რომ ვარესი ტანჯვა მოვა,
რომ შენი ხსნა არავის სურს
და სიკვდილმაც მივატოვა...

რალფი.





საქართველოს ამგებნი

(დასაწყისი იხილეთ მე-7 გვერდზე)

რის გამო არა ერთი სოფელი გაუნადგურებიათ არტილერიის ცეცხლით. ამ რიგათ, აღსდგა და დამკვიდრდა კოლექტიური პასუხისმგებლობა სწორეთ ისე, როგორც ეს იყო სამუშალო საუკუნოებში.

ასეთმა ტრადიციულმა ყოფა-ცხოვრებამ ხალხს ბევრი რამე ასწავლა. ახლა მან ბევრი რამ გაიგო, ბევრი რამ შეითვისა. ახლა ის დღიან-ღამიანათ ეძებს თავის გულში, რასაკვირველია, პასუხს იმ „წყველ კითხვებზე“, რომელიც მას წინ დაუდგა. მიუხედავათ ცხოვრების მძიმე პირობებისა, ის მაინც პოულობს ძალას და ენერგიას დაეწეფოს მისთვის გამოსადეგ ცოდნას; ყოველივე ამის გამო მისი განუხრავი საზღვრები გაფართოვდა. ახლა მას ბევრი ისეთი რამ აინტერესებს, რასაც წინეთ ყურადღებას არ აქცევდა, ახლა კი კარგადაა მიხმვდარი, რომ დღის წეს-რიგში მდგარი სოციალური და პოლიტიკური საკითხები მას პირდაპირ ეხება და რომ ამ კითხვების ასე თუ ისე გადაწყვეტას მის ცხოვრებასთან უახლოესი კავშირი აქვს. მან თავის ტყავზე განიცადა ასეთი საკითხების კარგად თუ ცუდათ გადაწყვეტის შედეგები. შექმნილმა გარემოცულობამ ძალა-უნებურათ გაუღვიძა მას ინსტიქტი თავის დაცვის და ამ მიზნით, ინციპტივის და შეგნების გამოჩენის. მანვე ასწავლა მას იყოს თავდაჭერილი, არ აყვეს გულის თქმას, არ გადადგას მოუფიქრებელი და წინდაუხედავი ნაბიჯი. ასჯერ გახომე და ერთხელ გასჭერიო — არის ნათქვამი. ახლა აღარც ეს კმარა. ახლა ათასჯერ გახომია საჭირო, რომ ერთხელ გასჭრა და ეს მან საკმარისათ შეიგნო.

არა ნაკლები ცვლილება მოხდა ინტელიგენციისშიც. ძველი ინტელიგენცია იყო იდეალისტური, რომანტიკული, მტოცნებე, ხალხის სამსახურისათვის თავისდამდები. ახალი ინტელიგენცია ბევრათ უფრო ნაკლები იდეალისტია, ბევრათ უფრო პროზაიკულია, ბევრათ უფრო ნაკლებათ სანტიმენტალურია. სამაგიეროთ, ბევრათ უფრო მცოდნესა სპეციალური დარგში, ბევრათ უფრო ამტანი და გამძლეა. ამიტომია რომ ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი ახლა მიდის სპეციალურ უმაღლესს სასწავლებელში, ჰუმანიტარულში კი სულ უმნიშვნელო ნაწილი. მას უნდა, პირველყოვლისა, იყოს ხელობის მცოდნე, საქმის კაცი, პრაქტიკი. თუ წინანდელი ფო-

რმაციის ინტელიგენტი წარა — მარა იმეორებდა: არა ერთითა პურითა ცხოვრობს აღამიანიო, დღევანდელი ახალი ფორმაციის ინტელიგენტი არა ნაკლები ენერგიით იმეორებს: მართალია რომ არა ერთი პურითა ცხოვრობს აღამიანი, მაგრამ არა უბურთო. იქნება პური, იქნება ყველა სხვა დანარჩენი. რაც შეეხება „ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას“, ამას დღევანდელი ინტელიგენტი არ დაგიდევს, რადგან ამტკიცებს, რომ ის თვითონაა ხალხი და არა მის გარეშე მდგომი, როგორც იყო ძველი ინტელიგენცია. ამიტომ, ძველ რომანტიკულ-სანტიმენტალურ მიდგომას ხალხისადმი და მისდამი მოვალეობაზე ლაპარაკს მისთვის მხოლოდ ისტორიული მოგონების ხასიათი აქვს.

კარგია თუ ცუდი ყოველივე ეს? ამაზე დამკმაყოფილებელი პასუხის მიცემა ამ უამად შეუძლებელია.

იმავე წერილში (№ 6) ჩვენ ვსწერდით: ასეთი შეჯიბრის განვითარების ლეკანასკნელი საფეხური; დიდ ხანს შეჩერდება ის ამ სტადიაზე, თუ გამოინახება შრომის კიდევ უფრო მკაცრი საექსპლუატაციო ფორმა — ეს იცის მხოლოდ კომპარტიის ხელმძღვანელობამ-თქო. ჩვენი ასეთი პროგნოზი გამართლდა უფრო ადრე, ვინემ მოსალოდნელი იყო. კომუნისტურ პარტიის მე-19 ყრილობისათვის პროექტში არსებული წესი შეჯიბრისა ზრულისად უარყოფილია. შეჯიბრის ძირითადი პრინციპი იყო ის, რომ ესა თუ ის კოლექტივი თვითონ, თავის ინიციატივით, ნებაყოფილით (გარეგნულათ მაინც) თვითონ იბეგრავდა თავს — ამდენსა და ამდენს დავამზადებ „ჩემი სახელმწიფოსათვისო“. ახლა კი კომუნისტური ხელისუფლება თვით ბეგრავს, თვით აწესებს, თვითონ საზღვრავს ყველა დარგის ნორმას. ნორმები ახალი ბეგრისა უკვე გამოქვეყნებულია ვახეთებში და ამიტომ აქ აღარ მოგვყავს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ის იმდენათ გადაიდებულია, რომ მისი ცხოვრებაში გატარება იმ ზომებითაც შეუძლებელი იქნება, რომელსაც ჩვეულოა კომუნისტური ხელისუფლება.

რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება?

როდესაც შეჯიბრი შემოიღეს მას წინ უძღოდა დიდი მუშაობა: პროპაგანდა, კრებები, დადგენილებანი, რეზოლიუციები და პრაქტიკული ღირეტივები. რაიონები ერთი-მეორეს ეჯიბრებოდენ — ვინ უფრო მეტი საქონლის



დამზადებას შეპირდებოდა სახელმწიფოს. ზოგი რაიონი 20 - 25-ჯერ მეტის დამზადებას კისრულობდა, ვინემ ეს საკავშირო გეგმით იყო ნაგავრავულები.

საილუსტრაციოთ, თუ როგორ მოედლო შეჯიბრის ცეცხლ-ცხელება ყველა ადგილობრივ ორგანოებს, საკმარისია მოვიყვანოთ ისეთი დაწესებულების ამბავი, როგორიცაა საკავშირო მეცნიერების აკადემიის ყირიმის ფანჯოფილება, სადაც კავშირის თავმჯდომარეა ვინემ მალახოვსკი. როცა მალახოვსკიმ დაინახა რომ პარტიული ორგანოები ერთი-მეორეს ეჯიბრებიან — ვინ უფრო მეტ შეპირებაზე მოაწერიებდა ხელს მუშა-მოსამსახურეს, რომ არ ჩამორჩენოდა სხვებს, თვითონაც შეეცადა თავის წვლილი შეეტანა „საქვეყნო სიმდიდრის“ შექმნაში, მაგრამ როგორ?

სამრეწველო დაწესებულებებში და კოლხობებში ნორმის გადღება (ქალღმერთი მანც) არაა ძნელი, მაგრამ აქ, სამეცნიერო დაწესებულებაში? „ბოლომეცნიერების დაუძლეველი არაფერია“ — განაცხადა ერთხელ თვით სტალინმა და მალახოვსკიც ხომ ბოლომეცნიერ და ისიც პირველი რანგის, მამასადასმე, მისთვის არ შეიძლება არსებობდეს დაუძლეველი დაბრკოლება. დატრიალდა ჩვენი მალახოვსკიც, მოიწვია აკადემიის წევრთა საერთო კრება და წინადადება მისცა მიეღოთ მონაწილეობა შეჯიბრში. კრების წევრები ყველა მზათ იყვნენ ამისთვის, მაგრამ როგორ? და რომ აცდიდათ მოსალოდნელი უსამიძინებო — ზოგმა დაიკისრა 10-15 ლექციის წაკითხვა, ზოგმა ერთი წიგნის მსვლიერ — ორის დაწერა, ზოგმა 3 - 5 წერილის დაწერა გაზეთებში. ზოგიერთებმა კი, მთავ. ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, ზოოლოგიის და ნიადაგის განყოფილებების თანამშრომლებმა მეტი ვერაფერი გამოიხატეს ვარდა იმისა, რომ მოკლეთ დასწერეს: „ვალათ ვიდგენთ კეთილსინდისიერათ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა“. უფროსმა ლაბორანტმა ივლევა, სხვა რომ ვერაფერი გამოიხატა თავის დარგში, იკისრა „მოხალისე მოფერობაზე ეგზამენის ჩაბარება“ და სხვ. წლის ბოლოს გამოიკვია, რომ აკადემიის თანამშრომლებმა შეჯიბრში კი შეასრულებს ასე თუ ისე, მარა თავის პირდაპირ დაწინაურებას იმდენი დრო დაუკარგეს, რომ გათვალისწინებული მუშაობა საგრძობლათ დაწინაურდა. მაგრამ მალახოვსკიმ აქაც ნახა გამოსა-

ვალი. წლის ბოლოს ანგარიშში ჩასწერა: „დავალისწინებთ ანგარიშებში არ არსებობს. ყველა დოკუმენტები რიგზეა. მხოლოდ ისტორიაში და არქეოლოგიაშია ცოტათი ჩამორჩენა, სადაც გეგმა მხოლოდ 60% არის შესრულებული, მაგრამ მთელი მუშაობა მიმდინარეობს წინასწარი გათვალისწინებით, საერთო ჩამორჩენა არაა“. ასე ფიქრობდა და სწერდა მალახოვსკი, მაგრამ აკადემიის ფანჯოფილების პრეზიდენტი კი ატყობინებდა მოსკოვში თავის აკადემიას, რომ შეჯიბრით დატვირთვის გამო მთელი რიგი უაღრესათ საბასუხისმგებლო განყოფილებანი თავის პირდაპირ დაწინაურებას ეცდარ ასწრებდნენ და სთხოვდა დახმარებას ამ უაზრო შეჯიბრიდან განყოფილება ფაქტობრივად.

ვინდ მეორე მაგალითი: შეჯიბრი გაჩაღდა ექიმებთა შორის — ვინ უფრო ნაკლებ დროში მოარჩენდა ავთამყოფს, ვინ ნაკლებ წამალს და სხვა საექიმო მასალას დახარჯავდა ავთამყოფზე და სხ. შედეგი ასეთი სისტემატის ადგილი წარმოასადგენია.

შეპირებებს იძლეოდენ, მარა შესძლებდენ თუ არა მის შესრულებას — ამას არავინ კითხულობდა. ადგილობრივი კომუნისტები ფიქრობდენ რომ, რამდენათ დიდი იქნება შეპირება, იმდენათ დიდი იქნება მათი დამსახურება, იმდენათ მეტ მაღლობას თუ ვიღღოს მიიღებდენ, ზოლო თუ როგორი შესრულებოდა — ამაზე მანც და მანც დიდათ არ დარდობდენ. შეიძლება ზოგიერთებს ისიც ეგონათ, რომ ეს იყო მორიგი პარტიული ლოზუნგი სააგიტაციოთ და სხვა არაფერი. მაგრამ მალე გამოიკვია, რომ მოსკოვი აღარ ხუმრობდა და როცა საანგარიშო კვარტალში შეპირებული რაოდენობა თითქმის არც ერთ რაიონში არ იქნა შესრულებული, მოსკოვი ყალყზე დადგა და პირობის შესრულება მოითხოვა: „საბჭოთა ხალხების სიტყვა — მტკიცე და ურყევი სიტყვაა. მიიღეს რა შეჯიბრი — ვალდებულება უნდა შესრულებულ იქნას“. „სანამუშო შესრულება ნაკისრი ვალდებულებათა, კომუნისტური მშენებლობის მყარ საფუძველია“ და სხ., სწერდა გაჯავრებით „პრავდა“. „ზოგიერთები შეჯიბრის წამოწყებას მხარს უჭერდენ, იღებდენ ვრცელ რეზოლუციებს შეჯიბრის დიდი მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ როცა საქმე პრაქტიკაზე მიდგება, სრულ გულგრილობას იჩენენ, ავიწყლებათ თავის მალ ფერადოვანი სიტყვები და დადგენილება“ და სხ., უმატებდა არანაკლებ გაჯავრებუ-



ლი პროფ. კავშირების ორგანო „შრომა“. არავითარ ახსნა-განმარტებას მოსკოვი არ იღებდა: სიტყვა-სიტყვაა, იკისრე მოვალეობა—ასარჩულე, იმიერობდა ის ყოველ დღე. „მასების შეჯიბრის ორგანიზაცია — ერთი უმთავრესი დანიშნულებაა პარტიული ორგანოების; ის ჩამოუტყიდელი ნაწილია მთელი პარტიული ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის“ — სცხადებდა კომუნისტური პარტიის ცეკა და ითხოვდა შეუსრულებლობის გამოძიებას. პროფ. კავშირების ორგანო „შრომა“-მ აუსრულებლობის მიზეზი დაინახა შეჯიბრის ხელმძღვანელობის უვარგისობაში და მოითხოვა პროფ. კავშირების ყრილობის სასწრაფო მოწვევა. ყრილობა შესდგა; გაიმართა დიდი კამათი და დასრულდა შემდეგი დირექტივებით: არჩევა კომისიების, ჩამოვლა ყველა ქარხნების, გაგება შეჯიბრის მსვლელობის და დაუზოგველად მოშორება ყველა შემშლელი პირობების

კომისიები მოედვა ფაბრიკა-ქარხნებს და შეუდგა მიზეზების კვლევა-ძიებას. მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც წესრულეთ, ნამდვილი მიზეზის გამოკვლევას გვერდი აუარა, წაებოტინა წყრილნაებს და ის გამოაცხადდა მთავარი მიზეზათ: ეს იყო, მისი აზრით „შრომის დისციპლინის“ დარღვევა: დაგვიანება სამუშაოზე, გაცდენა დღის, შეუსრულებლობა დღიური ნორმის. „ეს არის არა კეთილსინდისიერი დამოკიდებულება შრომის მიმართ; ეს აბრკოლებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, შეაქვს არე-დარევა ნორმის წესებში, არღვევს კოლექტივის შრომის რიტმს“. „შრომის დისციპლინის დამრღვევნი ზიანს აყენებენ არა მარტო ერთ ქარხანას, არამედ მთელ სოციალისტურ მრეწველობას. შრომის დისციპლინა ერთ-ნაირათ სავალდებულოა ყველასათვის, როგორც მუშებისათვის, ისე ხელმძღვანელებისათვის. ყველა მშრომელი მოვალეობაა გაასაჯროს დისციპლინა და გაასამართლოს დამრღვევნი“ — დაასკვნიდა კომისია. დაიწყო ყველგან გასამართლება. გასამართლების კრებებზე ბრალმდებელნი ყველგან ერთსა და იმავეს იმიერობდენ: „ჩვენთვის, საბჭოთა ხალხებისათვის, სახელმწიფოს ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას. ჩვენ ვაძლევთ მის ყველაფერს. შრომის დისციპლინის დარღვევა კი ნიშნია კაპიტალიზმის და ის უნდა ძირითათ ამოესწვიათ“-ო. ერთ ადგილას მუშა-ქალი გასამართლეს და დაითხოვეს სამუშაოდან მხო-

ლოდ იმისთვის, რომ ის რამდენიმე წუთით ადრე წავიდა სამუშაოდან, ვინემ წესია. მთელ რიგ ადგილებში მოხსნეს ხელმძღვანელები, დაიხარჯა აუარებელი სიტყვა და ენერგია, მაგრამ საქმის წინ წაწევა შეუძლებელი შეიქნა, ნაკისრი შეპირებების შეუსრულებლობა აშკარა ფაქტი გახდა.

და ეს იმიტომ რომ მთავარი და ნამდვილი მიზეზი იყო არა ის უმნიშვნელო რამ, რასაც კომისია ჩაებლაჟვა, არამედ სრულიად უმწეო მდგომარეობა იმათი, ვისაც ეს შეპირებანი უნდა შეესრულებია. ეს არის ის მშრომელთა მასსა, რომელიც მთელი ათეული წლების განმავლობაში, უდიერი შრომით და არასაკმარისი კვებით, იმდენათ ქანც გამოლეულია, რომ არამც თუ ზედ-მეტი, იმის შესრულებაც კი უჭირს, რასაც „ნორმალური“ ნორმა აკისრებს. კომუნისტური ხელისუფლება კი ამას გვერდს უვლის და ნაცვლათ იმისა, რომ ამ მშრომელთა ენერჯის აღმადგენელ ზომებზე, იზრუნოს — მხოლოდ იმას ცდილობს რომ ფაქვალ-ტყავებულ ხალხს გააკეთებინოს ის, რის გაკეთება აღემატება მის ძალ-ღონეს და თუ ნებით არა, გააკეთების ძალით, დასჯით და სასამართლოს განაჩენებით, სწორეთ ისე, როგორც უხეში და უდიერი მეტლე კნუტის ცემით ცდილობს აჩქაროს თავის გამხმარი ცხენები, რომლებისათვის მთელი ზამთრის განმავლობაში არაფერი უჭმევია.

თუ რა ყოფაშია ამ შეჯიბრის აღმასრულებელი მუშა-მოსამსახურენის ცხოვრება, საკმარისია, მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი მათი ოფიციალური გახეთიდგან. „ბევრ საწარმოებთან მუშა - მოსამსახურებისათვის მშენებლობა წლობით ჭიანურდება. ცუდათ მუშაობენ საწარმოებებთან არსებული სასადილოები და სასაუზმოები, სადაც ძალიან ხშირათ დაბალი ხარისხიდან და უგემური კერძებს ამზადებენ“. „ბევრჯან მუშათა საცხოვრებლები კეთილმოწყობილია, არ ყოფნით ავეჯი, არ აქვთ კულტურული გასართობები, არ მუშაობენ რადიო მიმღებები, მოუწესრიგებელია მუშათა კლუბები და სამკითხველოები“. „მეტალურგები და ქალაქ რუსთავის მშენებლები ხშირათ ქალაქის სავაჭროებში ვერ პოულობენ პირველ მოთხოვნილების სასურსათო და სამრეწველო საქონელს“. „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშათა საცხოვრებელ ბინებში, მუშებს არ აქვთ ტანსაცმელის შესანახი, არავითარი კულტურული მუ-



შაობა“. „ნოუქნელათ მუშაობს მარგანეცის ტრესტის მუშათა მომხარაგების განყოფილება. იქ არსებულ მუშათა სასადილოებში, გარდა იმისა, რომ დაბალი ხარისხიდან კერძებს ამზადებენ, ხშირათ წონაში ატყუებენ მომხმარებლებს. მოუგვარებელია სამხარეულოს კონტროლი, რაც ქმნის ბოროტ - მოქმედების შესაძლებლობას“. „ტყუარჩელის ტრესტის მუშათა მომხარაგების განყოფილება არი ზრუნავს იმისათვის, რომ იქონიონ სავაჭრო ქსელში ისეთი პირველი მოთხოვნების საქონელი, რთოგორც არის მარბილი, ძაფი, ღილები, ნემსი, ფეხსაცმელის საწმენდი“ და სხ. „წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა სასადილო, კლუბები, მალაზია, სამკითხველო, ახანო, პოლიკლინიკა ცუდათ ემსახურებიან მეურნეობის მუშაკებს“ და სხ. და სხ. (ქართ. „კომ.“ № 134).

შევედლო გაგვეგრძელებია ასეთი ამონაწერი, მაგრამ, ფეიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოთ თუ რა მდგომარეობაშია მუშა - მოსამსახურეების ყოფა - ცხოვრება და რა შრომის ნაყოფიერებაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც ძაფი, ნემსი და მარბილიც კი სანატრილია! განსაკუთრებით აღსანიშნავია სასადილოები. რომ მუშას ჰქონდეს საშვალება და შესაძლებლობა, როცა იქით ადგილას „სადილი დაბალი - ხარისხიანია“, წავიდეს მეორე ადგილას, — მაშინ კიდევ ჰო! მაგრამ საბჭოთა კავშირში ასეთი შესაძლებლობა საგვებით გამოორიცხულია. აქ მუშა - მოსამსახურე მიმადრებელია არა მხოლოდ ქარხანაზე, არამედ ამავე ქარხნის სასადილოზედაც და თუ რა შედეგი უნდა ექნეს მუშათა ჯანმრთელობისათვის ყოველ დღე ასეთ „დაბალი ხარისხიანი“ საკვებს — ეს ადვილათ წარმოსადგენია. და თუ, მიუხედავთ ამისა, ტყუარჩელის მაღაროს მუშე-

ბი მანც ამაყათ აცხადებენ: — „რაც არ უნდა დაგვავალოს პარტიამ, ტყუარჩელის მაღაროს ქართველი მუშები ადფრთოვანებით შეეცაბულლებთ“-ო, ამის ახსნას ჩვენი მკითხველი იპოვის ამ წერილის დასაწყისში.

დასასრული ერთი პატარა კურორთული ამბავია. ქართული „კომუნისტო“-ს მე-154 ნომერში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ოთხმა ნამდვილმა წევრმა (კეცხოველი, ბერძენიშვილი, ჯანელიძე, ერისთავი) და ერთმა წევრმა - კარესპონდენტმა (ძოწენიძე) დასტამბეს წერილი ამ სათაურით: „ერთი მოუგვარებელი საკითხის ფაშა“.

რახე გარჯილა ეს ხუთი პატრიცემული პირი? რახ ის ერთი საკითხი, რომლის მოწესრიგება მათ საჭიროთ დაინახეს?

ვალაპარაკოთ თვითონ: „ხშირათ შეხედებით წვერ-ულვაშიან კაცს — სწერენ ისინი —, რომელსაც სახელათ ან „ცუგრუმელს“ ჰქვია, ან „ბიჭიკო“. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ სახელებად გვხდება მალინა, რენო, ტოგო და სხვა ამ გვარი. არის უცნაური სახელებიც, მაგ. ფიგურა, კარტიჩკა, სტალიცა, მილორდი, ლედი, გუსარი, ფისუნია, ალიოშკა, არველოდი, ველოდი, ტოჩკა, ციცარი, ფრანცია, ვენეცია, ერიო, მაკდონალდი, ელმეხი“ და სხ. და ურჩევნ ყველას გადაირქვან მახინჯი სახელები. „საჭიროთ მივალწოთ იმას, რომ ყველა საბჭოთა მოქალაქეს ერქვას კარგათ შერჩეული სახელი“-ო დასკენიან უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებით ბატონი აკადემიკოსები.

თუ ამის მეტი არაფერია მოსაგვარებელი ჩვენს უბედურ ქვეყანაში, ამისათვის, ჭეშმარიტათ, არ ღირდა ბ. აკადემიკოსების შეწყობა...

ა . ვანიძე.

ს ა მ რ თ ა უ ო რ ი ს ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა

1952 წელი მიწურულშია და ამ იქოთი წლის განმავლობაში საერთაშორისო მდგომარეობა, წინანდელთან შედარებით, არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ ბევრ მხრივ კიდევაც გაუარესდა. ზავის და მშვიდობიანობის დიდ იმედს ძველი ახალს ვერ მისცემს, საამისოდ შესაფერისი საბუთი მას არ აქვს.

ზავი შორეული აღმოსავლეთში — კორეაში ვერ დამყარდა, წელიწადნახევარი შესრულდა, რაც

დაინტერესებული მხარეები იქ ნოლპარაკებას აწარმოებენ ტყვეების გაცვლა - გამოცვლის და დროებითი არმიისტისის ჩამოკლების შესახებ და დღემდე ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგები არ მოყოლია. კრემლის წარმომადგენელი — ვიშინსკი არავითარ დათმობებზე და კომპრომისზე არ მიდის, მას ყველა საკითხში უნდა თავისი ივითანოს და ონიუსი მოსკოვის წინაშე წამოაჩოქოს. ის დაინებით მოითხოვს ტყვეების



იძულებითი გადაცემას, რაზედაც ამერიკა, ინგლისი და სხვები არ თანხმდებიან, არ უნდათ გასწავლონ ის ყოველად ანტიკომუნისტური მოქმედება და საქციელი, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში 1945 წელს. რა ენაღვლება მოსკოვს ასიათასობით ჩრდილო კორეელები, თუ ჩინელები კორეის ომში იყლიტებოდნენ, თუ ამით ის ფიქრობს და მოიულის კიდევაც ამერიკის და ევროპის სახელმწიფოების ფიზიკურად და მატერიალურად მოლლას და მოქანცვას. მისთვის ხომ ხელსაყრელია: სხვები აომოს, მსხვერპლი გაადებიოს და შემდეგ კი ყველა დასუსტებულ და დაუძლიერებულზე იქრთაოდ იბატონოს. მისი ამ დროებით დამსჯელი და ამლოცველი არავინაა.

ერთა კავშირის ორგანიზაციაში კამათს, ლაპარაკს, დიპლომატიას გრძელ - გრძელ სიტყვიერებს ბოლო არა აქვს. ეს საერთაშორისო ორგანო ბოლოშევიკებს უნდათ დააგლახონ, დაჩაჩანაკონ, სალაჟბო და მხოლოდ საპროპაგანდო ტრიბუნათ გახადონ. ეს ორგანო ამით დღეს კრიზისს განიცდის და მას დიდი საფრთხე მოელოის. მას უძნელოდობა ყველის ნდობით და ავტორიტეტით აღჭურვილი პირი, რომელიც ერთა კავშირის ორგანიზაციის საქმიანობაში თავის ინიციატივით და საქმიანობით დიდი როლს თამაშობდა და მთელი მისი მოქმედება შესაფერვლად მიმართულა აძლედა. მას უძნელოდობა ყველის ასეთი ავტორიტეტით აღჭურვილი გენერალური მდივანი. ბ. ტრიგლი, ერთა კავშირის გენერალური მდივანი ხტოვიებს თავის პოსტს, რადგანაც მისი მოქმედება და საქმიანობა იბრძვიან და ბოიკოტს უყვიებენ, ირი გორც საბჭოთა რუსეთის, ისე ყველა მისი სატრიტების წარმომადგენელი. ძნელი იყო წინით და კიდევ უფრო ძნელი იქნება იხლა მონახოს ტრიგლის შემცვლელი და ყველასათვის მისაღები, საქმის მცოდნე და გარკვეული პოლიტიკის მქონე, ამავე დროს კი შესაფერისი ნდობით აღჭურვილი პირი იყნება. შეიძლება ორი მოკიშვე და მოწინააღმდეგე მხარე დათანხმდეს ვინმე უსახო, უპიროვნებო პიროვნების არჩევანზე, მაგრამ ეს იქნება ერთა კავშირის ცოცხლად დამარხვა და ამის მთავარი მიზეზია ის, რომ თვით ერთა კავშირის მოქმედების სისტემა არის უფარვისი. უდიდესი შეცდომა იყო თავიდანვე დაშვებული, როცა დიდ სახელმწიფოებს მიეცათ „ვეტოს“ უფლება, რომლითაც საბჭოები უხვათ სარგებლობენ და ხელს უშლიან ამა თუ იმ გადაწყვეტილების სასრულეში მოყვანას. ყველასზე დიდი ნაკლი ამ ორგანიზაციისა კი ის არის,

რომ მას არ აქვს რეალური ძალა, საკუთარი არმია, რომ თავის გადაწყვეტილებათა ასრულება სავალდებულო გახადოს ყველა წევრთათვის.

**

ამ წლის უკანასკნელ თვეებში თვალსაჩინოთ შეფერხდა ჩრდილო ატლანტიკის პაკტის დებულებების ცხოვრებაში გატარება, დაიწყო მისი ხელახალი შეფასება, ზოგ რამეებში შესწორება და არსებულ მდგომარეობასთან შეფარდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მას, რომ დასავლეთს არ შეუძლია ყველაფერი შესწოროს მხოლოდ შეიარაღებას და მხედველობაში არ მიიღოს ქვიყნის ეკონომიური მდგომარეობა და მისი წარმატების აუცილებლობა, თავდასაცავად საჭიროა ხომ, როგორც მილიტარული, ისე ეკონომიური ძლიერება. ცდილობენ აგრეთვე გააჩვენონ, რამდენად და რა დონემდე იძლევა ატომიურ იარაღთა ფაბრიკაციის პროგრესი მისი შესაძლებლობას, რომ კლასიკური შეიარაღება შეამკვირონ.

ჩრდილო ატლანტიკის პაკტის — „ნატოს“ წოდებული — გამგეობისათვის დიდ პრობლემათ გახდა ამ ბოლო ხანებში ინდოჩინეთის საკითხი. ოფიციალურად ეს პაქტი ატლანტიკის ქვიყნებს ეხება, მაგრამ საფრანგეთის მთავრობასთან ერთად ეხლა სხვებიც ფიქრობენ, რომ შორეულ აღმოსავლეთის ამბებს პირდაპირი ვაგლენა აქვს დასავლეთი ევროპის თავდაცვაზედაც და ამიტომ „ნატოს“ მოქმედება არ უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ჩრდილო ატლანტიკის პაკტის მონაწილე ქვიყნებთა ინტერესებზე, ზრუნვით. მაგრამ როცა ეს პრობლემა ასეთ შინაარსს იღებს, აქვე იჭრება მთელი რიგი პოლიტიკური, მილიტარული და ეკონომიური ხასიათის საკითხებისა. ყველაფერ ამის შესახებ შეთანხმება რომ მოხდეს და ასეთ შეთანხმების ახალი ფორმა გამოიხატოს, საჭიროა შესაფერისი დრო და სერიოზული მოფიქრება, ხოლო ამ საკითხთა მოგვარების დიდად დაყოვნება ძალზე გაათამაშებს და ავანტიურებზე წახალისებს საერთაშორისო მშვიდობიანობის მტერს და ორგულს.

**

მეტად კუდ შთაბეჭდილებას ახდენს ზავის და მშვიდობიანობის მდგომარეობებზე ის ფაქტი, რომ საფრანგეთი და გერმანია არ ჩქარობენ და ფებს



ითარევენ რატიფიკაცია მოუხბთინონ ორი მათ ხელშეკრულებას — პარიზში და ბონში დადებული, რომელთა მიზანია ევროპის გაერთიანება და ამ გაერთიანების დასაცავად ევროპიული თავდაცვითი ერთობლიობის შექმნა. დასავლეთი ევროპის (ბონის) პარლამენტმა უსრუყო აღდენაუროს წინადადება ამ ხელშეკრულებათა საქართველოს რატიფიკაციისა და ასეთი გადაწყვეტილებების გამოტანა გადაიდგა მომავალ დეკემბრის, თუ იანვრისათვის. საფრანგეთის მთავრობაც, რომელიც თვითონ იყო ავტორი და ინიციატორი ევროპიული თავდაცვის ერთობლიობისა, არ ჩქარობს ეს ხელშეკრულებები დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგინოს. საერთოდ კი გერმანიის და საფრანგეთის მთავრობები, ისე როგორც ამირიკის შეერთებული შტატები დიდ იმედს და რწმენას გამოთქამენ, რომ დაბოლოს ეს ხელშეკრულებები ამ ახლო მომავალში პარლამენტების მიერ დამტკიცებული იქნებიან.

ამ ორ ხელშეკრულების რატიფიკაციას დიდად შეუშლას ხელი იმ მოწამულ ატმოსფერაში, რომელიც შეიქმნა, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში საარის საკითხის გამო. გერმანია ვერ ურიცხვობდა საარის ჩამოცილობას და მისი ეკონომიკურად საფრანგეთის დასაღონის ქვეშ ყოფნას, რადგანაც საარში ეკონომიკურად გაბატონებული საფრანგეთი, იქ პოლიტიკურადაც გაბატონებული იქნებოდა დაბოლოს მოხდა, ვითომც შეთანხმება გერმანიის და საფრანგეთის შორის, გადაწყდა საარი შეეყვანათ, როგორც ქალკე ერთეული შოპანის მადნეულობათა გიგმის მონაწილე ქვეყნებთა შორის. ამადი დროს გერმანია აკეთებდა კომპრომის და საარში საფრანგეთს ანიჭებდა ზოგ ეკონომიკური ხასიათის უპირატესობას, სამაგიეროდ საარს უნდა მინიჭებოდა შეშენის გიგმის საბჭოს ზედამხედველობით სრულიად თავისუფალი და ავტონომიური პოლიტიკური სტატუსი. საარის ასეთი ინტერნაციონალიზაცია უნდა მომხდარიყო მისი მცხოვრებთა თანხმობით და იქ ყველა პოლიტიკური პარტიათა თავისუფლად მოქმედების (წმობით. თვით საარის ხილისუთლობამ, მისი მთავრობის თავმჯდომარემ. პოპულარმა ასეთ შეთანხმებას ხელი ვერ შეუწყო, არსებული მდგომარეობის გამოსწორებას შეიძლება ხელი შეუწყოს საარის უკანასკნელმა არჩევნებმა. ამ არჩევნებში გაიმარჯვებს საფრანგეთის და საარის მომხრეებმა, რომელთაც ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს. გერმანიასთან შეერთების მომხრე პარტიები კი და-

ჩნიენ დიდ უმცირესობაში. საარის მცხოვრებთა აზრი და მიდრეკილება დღეს ყველასათვის უფრო ნათელი და გარკვეულია, ვიდრე ეს გუშინ იყო. თან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი — შუმიანი საჯაროდ აცხადებს და გერმანიას ზოგი მნიშვნელოვანი ხასიათის კომპრომისებს პირდება. ეხლა არის მეტი იმედი საარის საკითხი უფრო ადვილად მოგვარდეს. ასეთი რამე კი დიდად შეუწყობს ხელს გერმანიასა-საფრანგეთის სხვა საკითხებში შეთანხმებასაც და ამით კი თვით ევროპის გაანთლიანებასაც.



ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებული ზოგი უთანხმოებით შეტად კმყოფილია მისკოვი და საერთოდ მთელი კომუნისტური პრესა. მათი აზრით ევროპის ქვეყნებთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება სავსებით ადასტურებს სტალინის მიერ დღევანდელი მდგომარეობის შეფასებას და პროგნოზს. სტალინის შეხედულებით ბრძოლა კაპიტალისტური ქვეყნებთა შორის დღეს უფრო მწვავეა, ვიდრე წინააღმდეგობანის, რომლის გამო ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირს უპირდაპირდებიან. ამიტომ მისი პროგნოზით ომი უფრო მოსალოდნელია კაპიტალისტთა ქვეყნებს შორის, ვიდრე საბჭოთა რუსეთის და კაპიტალისტური ქვეყნებს შორის

სტალინის ამ განცხადებასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ კომუნისტები ეხლა, როგორც წინეთ ყოველთვის, აღარ ლაპარაკობენ იმ აზრზე, რომ საბჭოთა რუსეთის კაპიტალისტური ქვეყნები გარს ერტყმიან და მასზე თავდასასხმელად ემზადებიან.

თვით სტალინის განცხადებას ორი მიზანი აქვს: პირველს შინაური პოლიტიკის ხასიათი აქვს: მას უნდა ამ განცხადებით შეანელოს ომის ის საშიშროება, რომელიც ბოლშევიკებმა წლების განმავლობაში თვით შექმნეს საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის. ეხლა მათ სურთ მშვიდობიანობის ატმოსფერა დაამყარონ და დაარწმუნონ მცხოვრებლები, რომ მათ ომის იმედი აღარ უნდა ქონდეთ და ისინი დღე და ღამე დაუსვენებლად ამუშაონ. ამადე თვალმაქცურად უნდა დააწყნაროს დასავლეთის ქვეყნები და იქონიონ მათთან სავაჭრო დამოკიდებულება და კავშირი.

სტალინის მეორე მიზანი საგარეო პოლიტიკის ხასიათისაა: მას სურს გამოიყენოს ევროპის ქვეყნებთა შორის არსებული უთანხმოებანი. მისი



აზროთ ხთება ევროპის ქვეყნების დეგრადაციას. ამ ქვეყნებს არ ძალუძს აიტანონ დღევანდელი შეიარაღების ტვირთი და ისინი ომისა და კატასტროფისაკენ მიდიან. საბჭოთა დიპლომატია ცდილობს დღეს დაპირდვის ატლანტიკის სახელმწიფოთა შორის არსებული სოლიდარობა და ზოგი ნათ შორის არსებული უთანხმოებანი გადააქციოს ამკარა კონფლიქტების საგნათ და მიზეზათ. მოსკოვი ფიქრობს, რომ გერმანია - იაპონიას მათი ფეხზე წამოდგომისა და აღორძინების პრიცესში კონფლიქტი მოუყვამეჩიკის შეერთებულ შტატებთან ისე, როგორც ამ უკანასკნელთან საფრანგეთისა და ინგლისის კონფლიქტი აუცილებელია. ამიტომაც არის მოსალოდნელი, ამის ზოგი ნიშნები უკვე ეხლადაც არის, რომ საბჭოთა რუსეთი შეეცდება საფრანგეთს - ინგლისს ზოგი ავანსები გაუყეთოს, რათა ესენი თავის მხარეზე გადმოიბიროს და ამერიკულ შეერთებულ შტატებს დაუპირდაპიროს.

მოსკოვის მთელი სიძლიერი და პროპაგანდა დღეს მიმართულია ამერიკის წინააღმდეგ. ეს გასაგებია, მილიტარულად და ეკონომიურად ამერიკა წარმოადგენს ყველა სხვებზე უფრო ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც ხელს უშლის მოსკოვს თავსდაესხას და დაიპყროს თავისუფალი დემოკრატიული ქვეყნები. კრემლი ეხლა ცდილობს გააუმჯობესოს მდგომარეობა შინ, თუ მის სატელიტ ქვეყნებში. ამასთანავე ის აწარმოებს ციფ ომს ამერიკის წინააღმდეგ, რათა თანდათანობით ძირი გამოლთხას მის სიძლიერეს და გავლენას. და თუ ის რამოდენიმე ხნის შემდეგ იმდენად ძლიერი იქნება, რომ ამერიკას გაუმკლავდეს, აგრესიულ ნაბიჯების გადადგმისაც არ დაირიდება. ცვალებადია მისი ტაქტიკა, მაგრამ რჩება უცვლელი მისი სტრატეგია: საბჭოთა საერთაშორისო დიქტატურა და დომინაცია.

**

ამერიკა საერთოდ სენსაციის ქვეყანაა და ეხლადაც ქონდა ადგილი ერთ სენსაციას პრეზიდენტის არჩევნებში. ტრუმანის უკანასკნელად პრეზიდენტათ არჩევას არავინ მოელოდა, ყველანი მას დამარცხებას უქადა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად დიდი უმრავლესობით იქნა არჩეული და ოთხი წლის განმავლობაში უდიდეს სახელმწიფოს მართავდა. ვასული 4 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში საერთო აზრი იყო, რომ აინტენსიონის და სტევენსონის შანსები თი-

თქმის თანასწორი იყო და ვერავინ ბედსადა იმის წინასწარმეტყველებას, თუ ვინ გაიმარჯვებდა. აქაც სენსაციას დაურჩა ადგილი. სტატისტიკური გამოანგარიშებით რესპუბლიკანების და დემოკრატიების პარტიათა სიძლიერე თითქმის ერთნაირა, სენატში და პალატაში რესპუბლიკანებზე მხოლოდ იქითი თუ ორით მეტი წარმომადგენელი ყავთ. აქედან ცხადია, ორ პარტიის ძალათ განწყობილება დიდათ არ შეცვლილა. აინტენსიონმა მისი პირადი პოპულიარობის გამო მიიღო კი 7 მილიონით მეტი ხმა, მას ბევრმა არა პარტიულმა ხალხმა გამოუცხადა ნდობა და ჩააბარა დიდი ქვეყნის მართვა - გამგეობა.

ამ მდგომარეობით სარეველობს ეხლა აინტენსიონი და როგორც სჩანს თავის-თავს უყურებს არა როგორც რომელიმე პარტიის წარმომადგენელს, არამედ როგორც პირთვლად მთელი ერის ნდობით აღჭურვილს პრეზიდენტს. ის ალბათ აღარ ფიქრობს დაეყრდნოს მხოლოდ ერთ რომელიმე პარტიას. ის არ იღებს რესპუბლიკანური პარტიის კლიდენტის—ტაფტის მიერ წარდგენილი კანდიდატებს მომავალ მთავრობისა. წინააღმდეგ, მას მთავრობაში შეყავს პროფესიონალური კავშირების ცნობილი ხელმძღვანელი — მარტინ დორკინი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში სასტიკად ებრძოდა თვით ტაფტს და თავგამოდებით ესარჩლებოდა დემოკრატიების კანდიდატს — სტევენსონს. თან დორკინი მუდამ ემობდა და ემობს დღესაც ტაფტ - პარტიის კანონმდებლობას და იცავს მის გადასინჯვა-გადაკეთებას. და ასეთ პირს აინტენსიონი ნიშნავს დღეს შრომის მინისტრათ; მას სურს ალბათ მიიმხროს პროფესიონალური კავშირების დიდი ორგანიზაცია, მოახდინოს გადაჯგუფება, გაიყოლიოს ერის დიდი უმრავლესობა და ამ სახით მართოს დიდი ქეყანა. თუ რამდენად ახლად არჩეული პრეზიდენტი შესძლებს ასეთი დიდი ამოცანის ცხოვრებაში გატარებას მომავალი დავებანახებს.

აინტენსიონი საერთოდ პოპულიარულია არა მხოლოდ მით, რომ მან დიდი როლი ითამაშა მეორე ომში და მისი მეთაურობით ილიების ჯარებმა პიტორი დაამარცხა. ის პოპულიარულია აგრეთვე მით, რომ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ის მეთაურობდა ევროპაში ყველა ალიების თავდაცვითი ჯარებს სტალინის წინააღმდეგ. ის კარგად იცნობს ევროპას და მის თვითოიეული წევრის ასავალი - დასავალს, ევროპაში ყოფნის და საქმიანობის დროს ის მუდამ იყო ივე-



ო ჯ ა ხ ი დ ა ს ა ბ ზ ო ტ ა რ ე ჟ ი მ ი

ოჯახი ქვაკუთხედია საზოგადოების. იგი უძველესი, კიდევ მეტი, უპირველესი მონაპოვარია ცივილიზაციის ვზახე შემდგარ კაცობრიობის.

ღირსთა განმავლობაში ოჯახის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების წინაშე იზრდებოდა. ასევე საზოგადოება ტრადიციით ღებულობდა, აკანონებდა: ოჯახის დაცვის, შისი სიწმინდის ხელშეკრულების აღდა - ზნე - ჩვეულებებს. არც ერთ იდეოლოგიას, არც ერთ რეჟიმს აზრად არ მოსვლია: დაეშალა, გაეცხრწნა ეს საყრდენი საზოგადოებისა.

ოჯახი ურთი - ერთი სიყვარულისა და პატივისცემის გაჩენე არ არსებობს. თუ ცოლ-ქმარს ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა არა აქვთ, თუ და - ძმანი, შვილები და მშობლები ასეთივე ცქრინობით არ არიან ურთი - ერთის მიმართ განწყობილნი, მაშინ ასეთი ოჯახი საზოგადოებას ვერაფერს სიკეთეს მოუტანს. მისი გავლენა თუ უარყოფითი არა ნოლი იქნება საზოგადოების მიმართ.

შვილი მშობლებით უნდა ამყობდეს. წინაპართა საქმენი ღირსეული ენერჯიას უნდა უფრკვევდეს. დიდებული ტრადიციის გავრძელება იმპულსი უნდა იყოს წინსვლისა და დიდებისაკენ.

კრიმინელის შეილსაც, რომ მშრომელი უყვარდეს არასოდეს ყოფილა დამშობილი. ხოლო პოლიტიკური მტრებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ლავალი დახვრატეს მსგავს აზრადაც არავის მოსვლია, საფრანგეთში, რომ ძალდატანებით, ოჯ-

ახის წევრებს მისი სახელი საჯაროდ დაეცნოს. მუსოლინი ჩაქოლეს იტალიაში, მისი მტელე, არც მისი ქალიშვილი არავის აუტყულებია ტალახსა და სიბინძურეში ამოესფარათ მისი ხსოვნა და სახელი.

ქართველი ერი, თუ ამდენ აზრებებს და დაბყრობებს გადაურჩა და თვისი ეროვნული სახე შეინარჩუნა, მრავალ სხვა თვისებებთან ერთად, ქართული ოჯახის სიმტკიცეს უნდა უმადლოდეს. ქართული ოჯახი ის აკვანი იყო, რომელშიდაც ქართველი მამულიშვილები — მამულისათვის თავდადებულნი და მისთვის წამებულნი — იზრდებოდენ. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ოჯახი იყო მთავარი ბურჯი: ქართული ენის, ქართული კულტურის და ქართული ადათ-ზნეჩვეულებების დამცველი, შემნახველი და გამცემელი. მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ოჯახის ღირსებაა, თუ დღესაც სპარსეთსა და ოსმალეთში გადახვეწილ ქართველობას, ათეული თაობის შემდეგაც არ დაუკარგავს თავიანთი წარმოშობის გრძობა და თუ დღესაც სიამაყით, საჯაროდ თუ ვერა გულში მაინც, ქართველობენ.

ერთად - ერთი რუსული ბოლშევიზმი — სოციალიზმის ქურქში გავხეული და საბჭოების რეჟიმად ჩამოყალიბებული — გამოიჭრა რუსეთის ტრამალებიდან, რომელმაც ფეხ - ქვეშ გათელა ყოველგვარი ადამიანური ღირებულება და ნამუსრალზე პიროვნების ტრანია — ბრმა, ტლანქი და გაუყობნავი — გააბატონა.

„ბავში ის სუფთა დაფაა, რომელზედაც ყვე-

როპის მთლიანობის მტკიცე დამცველი, ამ მთლიანობის დასაცავად შესაფერისი სამხედრო ძლიერების შექმნის ენერჯიული მომხრე და საამისოდ ამერიკიდან, რაც შეიძლება მეტი მატერიული დახმარების გამომთხოვი.

დღეს, როცა აიზენშატერი თვითონ არის პრეზიდენტი, არ არის არავითარი საბუთი, რომ მან მის მიერ წინეთ ნაწარმოები პოლიტიკა ძირიანად შესცვალოს. ამერიკის ორ პარტიის საგარეო პოლიტიკაში რაიმე თვალსაჩინო განსხვავება არ არის. ეხლა, როცა ამ ორ პარტიის ძალთა განწყობილება და გავლენა თითქმის თანასწორია, უფრო მოსალოდნელია საგარეო ფრონტზე მათი სოლიდარულიდ მუშაობა და მოქმედება.

სტალინის მოლოდინი, რომ ევროპის ქვეყნებთა შორის არსებული ზოგი უთანხმოება ამკარა კონფლიქტის ხასიათს მიიღებს და ამის შედეგებით მოსკოვი ადვილად ისარგებლებს, უბრალო ილუზიათ დარჩება. ეხლა ყველას ესმის და შეგნებული აქვს, რომ, რაც ღრობითა უთანხმოება არ უნდა არსებობდეს დასავლეთის ქვეყნებთა შორის, ეს მათი უთანხმოება კრემლის დიქტატურის სიბოროტესთან შედარებით არაფერია. კაცობრიობას მხოლოდ ამ დიქტატურისაგან მოვლის საშინაობა და ეს დიქტატურა უნდა მოიშალოს და დამარცხდეს.



ლაფერი შეგიძლია დასწერო“. ეს შეხედულება საბჭოთა იმეგვეტრებს აქსიომად სწამთ და ამიტომ ყოველგვარ ზომას და საშუალებას მიმართავენ, რათა მშობლების როლი მემემცრონ, ხოლო პა-
 რტიის და ხელისუფლების რაც შეიძლება მნი-
 შვენლოვანი გახადონ ახალგაზრდობის აღზრდის
 საქმეში.

ჯერ კიდევ სკოლის ასაკამდე — საბავშვო ბა-
 ლებში — ლექსებისა და სიმღერების სახით, ბა-
 გვშებს, დედ-მამის, ნათესავების და მეგობრების
 სიყვარულის მაგივრად ლენინ - სტალინ - მარქს-
 ენგელსის სიყვარულს და პატივისცემას უნერგა-
 ვენ.

სასკოლო ასაკიდან უკვე ახალგაზრდობა არა
 მარტო სასწავლო პროგრამიდან (რომელიც ისეა
 შედგენილი, რომ ყველა საგანში, მათემატიკის
 და ბუნების მეტყველობის ჩართვით, უდიდესი
 ადგილი აქვს დათმობილი მონარდის პოლიტი-
 კურ აღზრდას) იზიარება ბოლშევიკურ მორალს
 და პატრიოტიზმს, არამედ მის გვერდით მთელი
 რიგი ორგანიზაციებისა არსებობს ახალგაზრდო-
 ბის კომუნისტურად აღზრდისათვის: ოქტომბრე-
 ლთა, პიონერთა და 13-14 წელს ზევით, კომკავ-
 შირო. ეს ის ორგანიზაციებია, სადაც ხდება ბა-
 გვშის სულის ფაბრიკაცია და მომავალი კომუ-
 ნისტის ფორმაცია. ამ ორგანიზაციებში, უამრავი
 ბროშურებისა და კონფერენციების საშუალო-
 ბით, ბავშვს უნერგავენ ანტი-რელიგიურ განწ-
 ყობილებას, ახალ, ბოლშევიკური რელიგიას, ბო-
 ლშევიკურ მორალს და ბოლშევიკური პატრიო-
 ტიზმს. ასე მაგალითად ლიტერატურა, რომე-
 ლიც მიმართულია ახალგაზრდობის საბჭოთა პა-
 ტრიოტიზმის გასაღვივებლად ისეა შემუშავებუ-
 ლი, რომ ტერიტორიულური - ეთნოგრაფიული და
 ეროვნული მცნებანი კლასიკური პატრიოტიზ-
 მს ადგილს უთმობს სტალინის პიროვნებას, მის
 პოლიტიკურს და კომუნისტურ პარტიას.

ვისაც ბოლშევიკური პარტიის სიმპატიები
 არა აქვს, ვისაც სტალინი და მისი პოლიტიკური
 არ უყვარს, ის „საბჭოთა ხალხის და მოწინავე
 კაცობრიობის პარსისხლიანი მტერია“, „სამშობ-
 ლოს მოღალატე და სასიკვდილოდ განწი-
 რული კაპიტალიზმის მოსყიდული აგენტია“,
 რომელიც „ქვეწარმავლივით უნდა გაისრისოს“,
 თუნდაც იგი ოციწლი იქნება, მამა, ძმა ან და
 იყოს.

კომუნისტურ რევოლუციის პირველი წლე-
 ბის ლიტერატურამ:

„დედას დავახრჩობ,
 მამას დავახრჩობ,
 თუ კი მიბრძანებს
 რევოლუცია“;

განცადა ევოლუცია მხოლოდ მით, რომ რევი-
 ლუციის ადგილი დაიკავა პარტიამ და ხელის-
 უფლებამ, ხოლო უფრო გვიან სტალინისა და მი-
 სმა პოლიტიკურით, როგორც სიმბოლომ პარტი-
 ისა და ხელისუფლებისა.

მონარდთათვის განკუთვნილი ლიტერატურა:
 სავსეა ისეთი ჟანრის მოთხრობებით, სადაც პა-
 თეტიური ტონში მოთხრობილია, თუ როგორ
 9 - 10 წლის პიონერმა გამომჟღავნა მის ოჯახ-
 ში მყოფი „ხალხის მტერი“. „ფხვიელი ჩეკა“
 სწრაფად უსწორდება უღირს მშობლებს. ხოლო
 მშობლების გამტეხ ობოლ პიონერს მაღალი
 ხელისუფლება გზას უხსნის „ბედნიერი მომავ-
 ლისაკენ“.

საბედნიეროდ ქართველი ერისა ეს უსისხლო
 ბრძოლა რეჟიმისა და ოჯახს შორის უკანასკნე-
 ლისათვის ბრწყინვალე შედეგებით წარმოებს.
 ქართველი ახალგაზრდობა, მისი დიდი უმრავ-
 ლესობით, მტკიცეთ დგას საუკუნეთა განმავლო-
 ბაში ჩამოყალიბებულ ტრადიციის, ადათ - ზნე -
 ჩვეულების და მორალის გზაზე, ოფიციალურ -
 საპროპაგანდო ლიტერატურას იშვიათად კით-
 ხულობენ, რომ მათ შესახებ წარმოდგენა ჰქონ-
 დეთ, მაგრამ მასში არასოდეს სინართლეს არ
 ეძებენ. პირიქით სინართლენ და სინამდვილე მათ-
 თვის იმის საწინააღმდეგო დასკვნებშია, რაც
 ოფიციალურად იწერება ან საჯაროდ წარმოი-
 თქმება.

ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტულად აღ-
 ზრდის საქმეში საბჭოთა რეჟიმმა უეჭველი მარ-
 ცხი განიცადა. ეს ამკარად გამოჩნდა უკანასკნე-
 ლად გერმანიისთან წარმოებულ ომში. ბოლშე-
 ვიკების პარტიის საპროპაგანდო განყოფილების
 გაჩენამ არსად არ სუფევდა ის საბჭოთა ხალხის
 პატრიოტული ამხედრება შემოსეული მტრის
 წინააღმდეგ, რომელსაც ასე გაპკოლენ საბჭოთა
 რადიო - სადღურები და ჟურნალ - გაზეთები. პი-
 რიქით, საბჭოთა ხალხი და მათ შორის საბჭოთა
 ახალგაზრდობა, რომელთა აღზრდა და ფორმა-
 ცია მთლიანად ახალი რეჟიმის პირობებში მოხ-
 ცა მთლიანად ახალი რეჟიმის პირობებში მოხ-
 ცა, ამკარად „დედებისტი“ იყო, რადგანაც ერ-
 თად - ერთ საშუალებას კრემლის ტირანის მოსა-
 შორებლად ვარგან ომში ხედავდა, და დღესაც



დარწმუნებული ვარ, აქეთკენ არის მიმართული მათი იმედები.

პროპაგანდის საშუალებით ახალგაზრდობის სულის ნელი, მაგრამ აშკარა მოწამელა, რაც არ უნდა არანორმალური და მავნე იყოს, მაინც შედარებით უფრო ჰუმანურია, იმ ლაჩრულ და სულმდაბალ მეთოდებთან შედარებით, რომლებიც, უფრო გვიან, საბჭოთა რეჟიმმა და კერძოთ მისმა პოლიტიკურმა პოლიციამ გამოიყენა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მიმართ.

1936 - 27 წლებში წინასწარმის რისხვა თავს დაატყდა მოსახლეობის ყველა ფენას და განსაკუთრებით ინტელიგენციას. პარტიული მანდატი ამ დროს უკვე თავმესაფარად აღარ ითვლებოდა, რადგანაც კომუნისტებსაც ისევე ცხვრებოდა ერთგვობდენ საპატიმროებსა და ციხეებისაკენ, როგორც უპარტიოებს. ნაშუაღამევს, დასურული მანქანებით, პოლიცია თავს ესხმოდა არჩეულ მსხვერპლთ. ყოველგვარი ფორმალობის გარეშე წამოყრიდა ზეზე ნამდინარე ბავშვებს, ქალებს, მოხუცებულებს, საცვლებს ამარათ და შიშისაგან აკანკალებულებს უბრძანებდენ დამდგარიყენენ პირთ კედლისაკენ; აწარმოებდენ საათობით ჩხრეკას, დაკითხვას და ბოლოს თან გაიყოლიებდენ ერთს ან ორს წიქრს ოჯახიდან, რომლებსაც უკან დაბრუნება არასოდეს აღარ ეწყრა. ხოლო დარჩენილებს, შიშისაგან აკანკალებულთ, ტიხილის უნარიც აღარ ჰქონდათ, რომ გამოწარებული გული მოეგვრებინათ. ასე იქნენ დაპატიმრებული მილიონობით თრევე სქესის მოქალაქენი. ყოველგვარი იურიდიული პროცესის გარეშე — გამოუძიებლად, გაუსამართლებლად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე საჩენებელ პროცესს, რომელთაც საპროპაგანდო ხასიათი ჰქონდა და არა მართლმსაჯულებრივობა, ხალხის მტრებად მონათლული მთელი ეს არმია გადასახლებული იქნა, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის სად, რადგანაც მათ შესახებ არავითარი ცნობები არ გააჩნდა დარჩენილ ოჯახის წევრებს.

არ დარჩენილა საქართველოში ისეთი ოჯახი, რომელსაც პირდაპირ თუ არა, არა პირდაპირ მაინც არ შეხებოდეს ეს აქამდე უაუგონარი დასჯერები. თუ ოჯახის წევრი არა, ანლო ნათესავი ან უახლოესი მეგობარი მაინც უტყველად იყო დაპატიმრებული და მამასადამე ხალხის მტრად გამოცხადებული. „თავისუფლად“ დარჩენილთა მიმართ, რომლებიც თავის მხრივ ყოველ წუთში ელოდენ დაპატიმრებას, გამოყენებული იქნა და-

შინების ყოველად არა ადამიანური მეთოდები, რომლის მართო მოგონებაც კი, ათეული წლების შემდეგაც, ერთ გამოუთქმელ ზიზოსა და აღშფოთებას იწვევს. თუ მისაც იგივე ბედი არ უნდოდა, რომ სწოდდა, თუ არ უნდოდა, რომ სამეშოდან გამოგდებული ყოფილიყო და ულუკმა - პუროდ დაეტოვებია თავისი თავიც და მთელი ოჯახიც, ფეხ-ქვეშ უნდა გაეთელა და ტალახში ამოესვარა ნათესაური თუ მეგობრული გრძობები, რომელიც ნას უდანამაულო პატიმართან აკავშირებდა, და თავე - პირის ხოკვით და მუხლებზე ხოხვით თვალ - ცრემლიანი წარმდგარიყო მრისხანე ბატონების წინაშე შეწყალების და პატიების სათხოვნელად. ხალხის მტრად გამოცხადებული პატიმარის ოჯახის წევრი ვალდებული იყო წიქრილობით და საჯარო დამოსვლით განეცხადებია: რომ „მის ოჯახში აღმოჩნდა საბჭოთა ხალხის მტერი“. რომ, „ის თავს დამნაშავედ გრძობს, რომ სათანადო ბოლშევიკური სიფხიზლე ვერ გამოიჩინა და უფრო ადრე მან თვითონ ვერ ამხილა მის ჭერ - ქვეშ, შემოპარული ტროცკისტ - ზინოვიევილი საერთაშორისო კაპიტალიზმის მოსყიდული აგენტი“, რომ „ის წყვეტს ყოველივე კავშირს ზემოხსენებულ ხალხის მტრებთან და დღეიდან არავითარი ნათესაური კავშირი მასთან აღარ აერთებს“ და სხ.

ასე ამრიგად ახალგაზრდა ქალი, რომლის ქმარიც დაპატიმრებული იქნა, რომ სამსახური არ დაეკარგა და წვრილი შვილები მშერი სარღინდოდა, იძულებული იყო განეცხადებია: რომ „ის გმობდა მის უღირს ქმარს, რადგანაც იგი აღმოჩნდა პირისხლიანი აგენტი მომაკვდავი კაპიტალიზმის და მისი ლაქების ტროცკისა და ზინოვიევის“. ხოლო თუ იგი თვითონ პარტიული იყო და საპასუხისმგებლო თანამდებობას ასრულებდა, სავალდებულო იყო მოეთხოვა დაუყონებლივ განქორწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში არამც თუ ადგილის დაკარგავდა, არამედ ისიც უკან დაჰყვებოდა დაჭერილი მუცლეს, რომელსაც სულ ერთია ვერც პატიმრობაში ევლარასოდეს იხილავდა.

ასევე ახალგაზრდა, რომლის მამა ან დედა ან ორივე ერთად დაპატიმრებულ იქნა ყოველგვარ ბრალდებისა და გამოძიების გარეშე, გაფთხებული და აკანკალებული ხმით აცხადებდა: რომ „მისი მშობლებიც ხალხის მტრები აღმოჩნდენ“, რომ „ის ქებას ასხამს ფხიზელ წინასწარმს, რომ მელმაც დროულად გამოამყვანა მოშამული ქვეწარმავალი გველები“, რომ „ის მოითხოვს



მათ შეუტბარალეველი ჭასრესასა“, და ბოლოს რიომ მას „აღასრავითარი საერთო არა აქვს ასეთ უღირს მშობლებთან“.

ამგვერადვე მოხუცი მშობელი კოლმეურნეობას თუ ქარხნის საერთო კრებაზე, ცულ-მუცულში ჩაბრუნებული ყრუ ხმით, აცხადებდა: რომ „მისი ღვიძლი შვილიც ხალხის მტერი ყოფილა, მოსყიდული აგენტი, რომელიც მიწის პირიდან უნდა აღიგავოს“; ხოლო ის, მოხუცი მამა „გულიდან იგლეჯს ასეთ შვილს და არ უნდა მასთან არავითარი საქრთო ჰქონდეს“.

ასე ამრიგად და ძმას, შვილი მამას, ცოლი ქმარს და პირიქით, ნაწინებთ, მშვირ-მწყურვალეს და პირუტყვზე უარეს პირობებში მყოფთ, უკანასკნელ წიხლს ცემდა ძიულებით და ძაღვტანებით, რომ ისედაც გულმეშარავი სურათი კიდევ უფრო შემადრწუნებელი გამხდარიყო.

კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ნახული სისხლიანი ტერორის საშვალეებით კრემლის ბატონებმა ფეხქვეშ გათელეს ყოველგვარი ადამიანური გრძობა და ღირსება. ადამიანი პირუტყვზე დაბლა ჩამოაქვეითეს და მას დედა - შვილური გრძობაც ემამაცალეს. თვით ჩვენც, ვინც ამ ჯოჯოხეთს თავი დავანწიეთ უკან მხო გვდევს მათი რისხვა და საშვალეება არ გვაძლევს, რომ სამშობლოში დაარჩენილ მოხუც მშობლებს ჩვენი ჯანმრთელობის ამბავი შევატყობინოთ.

ჩვენი საუკუნის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ამ ფიზიკური და სულიერი ჯალათებს საშვალეება ეძლევათ ქვეყნიერება შეცდომაში შეიყვანონ, რომ შავი თეთრად გაასაღონ, ძალმომრეობა სათნობად და ბოროტება სიკეთედ. ამის გამო მილიონობით გულუბრყვილო ადამიანები თავისუფლად მცხოვრებ ხალხთა შორის სიმბატით შეყურებს მის კარებთან აყუდებულ წითელ ურჩხილს და მისგან სიკვდილს მოელის. ვაი ამ გულუბრყვილით! თუ ჩავარდენ „საბჭოთა სამოთხეში“, პირველად ისინი იტაცებენ თავში ხელს, მაგრამ გვიანდა იქნება თითზე კბინანი.

აუცილებელი არ არის მომავლის მისანი იყო ან შორს მჭვრეტელი გენიოსი, რომ დაინახოს საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ადგია დღეს ან მომავალში მოელის საერთაშორისო კომუნისმის სახით.

ზოგიერთი გულუბრყვილო თეორეტიკოსი უკანასკნელ დრომდე ქადაგებდა, თითქოს საბჭოთა რეჟიმის საშინელებანი წმინდა რუსული

მოვლენა იყო და რომ დასავლეთის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის გამარჯვება სრულებით არ ნიშნავდა იგივე სისხლიანი ტერორის ფაბატონებას, როგორც ამას ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში. დღეს ასეთ გულუბრყვილოთ აღარავითარი საფუძველი აღარ ვახინათ. ვინც ბრმა არ არის, ან თავს განგებ არ იბრმავებს, მას ადვილად შეუძლია დაინახოს, რომ დღეს არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ ისეთი იფრობიელი ერთა ტრადიციის განვიციდით, როგორცაა: პოლონეთი, ენგერია, რუმინეთი, ბოლღარია, და ჩეხოსლოვაკია. ეს ერები დღეს იმავე პროცესს გადიან, რაც საბჭოთა ხალხს შეორე მსოფლიო ომის წინა წლებში გაიარა. მოითავეს რა ე. წ. კლასობრივი მტრების და მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიების ლიკვიდაცია, ხელი მიყვეს თვით საკუთარი რიგებში ასეთი ელემენტების განადგურებას, რომელთაც საკუთარი აზრი გამოაჩნდათ ან კრემლს თავისთვის საშიშრათ მოეჩვენა. დღეს ჩვენს თვალწინ გაიარა პრალის პროცესმა, რომელიც ისევე წააგავს მოსკოვის ტროცკისტ - ზინოვიევილთა პროცესს, როგორც წყლის ორი წვეთი. ავტომატებით მომართულნი ყველა პრალდებული თავს დამნაშავედ ცნობს ყველა საბრალდებლო მუხლში. უწოდებენ რა თავის თავს ჩეხოსლოვაკიის ხალხის გამყიდველს, მოღალატეს, პირსისხლიან მტერს და რა ვიცით რას არა, თვითვე მოითხოვენ სიკვდილით იქმნან დასჯილი.

ამ ტრაღიკომიკურმა პროცესმა უკვე მიღწია თავისი კულმინაციის წერტილს. რეიტერის სააგენტოს, 25 ნოემბრის, ცნობის თანახმად ერთ-ერთი ბრალდებულის, თომს ფრეჯკას, შვილმა სანხედრო ტრიბუნალს შემდეგი განცხადებით მიმართა:

„მე მოვითხოვ, მამაჩემისთვის, უმაღლეს ზომის სასჯელს: სიკვდილს. მე მხოლოდ ესლს ვხვდები, რომ ეს არსება, რომელიც ადამიანის სახელწოდების ღირსი არ არის, ჩემი უსამინელები მტერია, მე მოსიჩილი კონუნისტი ვარ და ვიცი, რომ ზიზლი, რომელსაც მე ვხედავდი მამაჩემის მიმართ, მე მომცემს ახალ ძალას ჩვენი ერის კომუნისტური მომავლისათვის საბრძოლველად. გთხოვთ აჩვენოთ ეს წერილი მამაჩემს და მომცეთ საშუალება მას პირადად გალაგე ყოველივე, რასაც მე ვფიქრობ მასზე“.

ამ განცხადებას ეფიქრობ კომენტარები აღარ ესაჭიროება. ჩვენ საბჭოთა ჯოჯოხეთიდან გამოსულებმა ვიცით, თუ რა პირობებში იქნება ეს



მ ი უ ნ ხ ე ნ ი ღ ა ნ

(კორესპონდენცია)

მიუნხენის კონფერენცია მეტათ მნიშვნელოვან იდეაა. ვისაბედენში დაწყებულმა გაბედულმა ნაბიჯმა, დიდი დავისა და წინააღმდეგობის შემდეგ, მიხლწია გარკვეულ შედეგებს. წახდა იმედო მათი, ვინც მას სრული მხარცით დათავებას უწინასწარმეტყველებდნ. რასაკვირველია ასი პროცენტით გატარება იმისა, რაც სასურველი იყო, არ შეიძლებოდა, არც ამის ილიუზია ექნებოდა ვინმეს. კომპრომისი ასეთ რთულ და მრავალ - ფეროვან მონაწილეთა შორის ერთადერთი გზაა შეთანხმება მისაღწევად. მხოლოდ კომპრომისს მრთხივება, რომ იგი არ იყოს მიღწეული იმ ძირითადი პრინციპების უარყოფით, რომელიც ქვაკუთხედია ჩვენი პოლიტიკური მუშაობისა. საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის ამ მხრივ ჩვენის აზრით, მიუნხენში საგნებით გამართლებულია.

რა მოხდა მიუნხენის კონფერენციაზე? მას წინ უსწრობდა დიდი მუშაობა პოლიტიკური კომისიის, შტარენბერგში რომ იქნა არჩეული, რომლებმაც დეტალურათ შემუშავებული შეთანხმების პროექტი წარუდგინა 16 ოქტომბერს „პლენუმს“. „პლენუმმა“ წარადგინილი პროექტი, სერიოზულ განხილვის და მცირე შესწორების შემდეგ ერთმად დაადასტურა. ეს დადგენილება უკვე გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში და გაცნობილი გექნებათ. მე მხოლოდ მის მთავარ დებულებებს და იმ კამათს მინდა წმეგებო, რომელიც მას ახლდა.

პირველათ განვიხილოთ საორგანიზაციო საკითხი; ამ მხრივ საქმე ასეა: უნდა შედგეს საკოორდინაციო ცენტრი, რომელშიაც შევლენ თანასწორი რიცხვი რუსის ორგანიზაციების და არა რუსს ერთა წარმომადგენლობისა 60 წევრისაგან, 30 ეკუთვნის ერებს, 30 რუსებს. თვითიული

სექტორი თავის ადგილებს ანაწილებს ასე: 2 აირჩევენ თავის წოდან ორგანიზაციები, 10-ს საზოგადო და კულტურულ მოღვაწეებისაგან. ეს ცენტრი გამოყოფს „ცენტრალური ბიუროს“, რომელიც მისი აღმასრულებელი ორგანო იქნება.

უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტატუსი ამ გაერთიანების, რომლის მთავარი აზრი იმაშია, რომ „ცენტრი“ შექმნილია აქტიური ბრძოლისათვის ანტიხალხური კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ, ესე იგი ისეთი ბრძოლისათვის, რომელიც გაუხსნის გზას იმ ერთა განთავისუფლებას, რომელნიც თანამედროვე ს.ს.რ.კ. ტერიტორიაზე მოსახლეობენ და ამ ტერიტორიაზე დემოკრატიული წყობილების დამყარებას, რაიცა ამ ხალხთა მისწრაფებათ ეპასუხება“. (იხ. სტატ. საერთო დებულება მ. I). საკოორდინაციო ცენტრი აერთებს ყველა ამ ერების დემოკრატიულ ემიგრაციას. ცხადია მასში ვერ იქნებინ დაშვებული ისეთი ორგანიზაციები, რომელსაც მიზნათ აქვს „რესტავრაცია ჩევილიუსტის წინააღმდეგ წყობილების, და ამა თუ იმ ფორმის ტოტალიტარული დიქტატურის და აგრეთვე, ვინც ეროვნული მძულეარების პრობანდას ეწევიან, ან უარყოფენ პრინციპს ერთა თავისუფლების ყოფის გამოხატვისა, ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში“ (იხ. იქვე).

აქედან ცხადია, „ებრძვის რა შეუროვებლათ კომუნისტურ დიქტატურას მის სრულ მოსაბოამდე“, იგი მოითხოვს გატარებულ იქნეს პრინციპი თანამიმდევრობით ხალხთა უფლებებისა (პოსულედოვატელნოუ ნაროდოვლასტის, რუსეთში პირველათ გამოცხადებული თ ე ბ ე რ გ ე ლ ი ს რ ე გ ო ლ ი უ ც ი ი ს მიერ) როგორც შემთავრესი პირობა წინააღმდეგ აბსოლიუტიზმის რესტავრაციისა და ან რამე სახის დიქტატური-

დაწერილი ან რა სულერი ტანჯვასაც შეიძლება განიცდიდეს ასეთი განცხადებისათვის სახრჩობელაზე მიმავალ თომა ფრეეკას სულმდაბალი და ლაჩაზი შვილი.

ეს პროცესი ქრთხელი კიდევ ნიღაბს ხდის საერთაშორისო კომუნიზმის ველურ ბუნებას. იგი აწკარად ადასტურებს რომ: კომუნიზმის სახით არა სოციალურ რევოლიუციასთან გვაქვს საქმე, არამედ მთელი საკაცობრიო ღირებულების გა-

დატრიალებასთან და მამასადამე მის სრულ დეგრადაციასთან. თუ თავისუფალი კაცობრიობის სურს დაიცვას დიადი ღრთმა საკაცობრიო ცივილიზაციის, მაშინ ის არამც თუ შორიდან მაყურებლის როლით არ უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ სამკედრო - სასაცოცხლო ბრძოლა უნდა გამოუცხადოს საერთაშორისო კომუნიზმის სატანურ ძალეებს.

შურდული.



სა“ (მუხ. 2). როგორც კანათში გამოჩვეული იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხთა უფლებების დიდ პრინციპს, რომელიც რუსეთში არ წარმოშობილა, და მხოლოდ პირველად გამოცხადდა თებერვლის რევოლუციის დროს — დანიშნულებას ქონდა — რეაქცია და რესტავრაცია თავიდან აეცილებია. რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, რომელიც უნდა გავრცელდეს ეს ხალხთა უფლება, ამასვე „პლენუმზე“ ის აზრი გამოთქვა, რომ „ყველა ირებს, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსახლეობენ, აქვთ უფლება თავისუფლად, დემოკრატიული ნებისყოფის გამოთქმის საშუალებით გადასწყვიტონ თავის ბედი“. შემდეგ იქვე აღნიშნულია, რომ ისეთი დემოკრატიული განთავსება თავის ნებისყოფისა, შეიძლება მოხდეს: „პლენუმის საშუალებით, ან ეროვნულ ნაციონალურ კრების საშუალებით, ან საბჭოთა რუსეთის დამფუძნებელი კრების მიმდევრებით“ (იქვე მუხ. 3, შენიშ. I).

აქ აღნიშნულია სამი გზა, რომელთაგან პირველი დასაჭირდება იმას, ვისაც დღემდე არ ქონება საშუალება თავის ბედი თავის ნების მიხედვით გადაეწყვიტა. მეორე — ეროვნული დამფუძნებელი კრება კი ნიშნავს იმას, რომ ერს გადაწყვეტილი აქვს თავიანთი იყოს თავის პატრონი; ვინაიდან ეროვნული დამფუძნებელი კრება აუცილებლად შეიცავს და გულისხმობს იმას, რომ ერთი უკვე სუვერენი და სრულიად სუვერენულად სწყვეტს სახელმწიფო წყობილების ფორმას და წესებს ისე, როგორც სხვა ერებთან დამოკიდებულებას.

ეს ასეა, მაგრამ მაინც მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ის, რაც ამ „პლენუმზე“ გამოირკვა საბჭოთა რუსეთის საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. რუსული ორგანიზაციებისაგან შემდგარი იქნა წინადადება, რომელიც აღიარებს, რომ ავტონომიური უნდა იქნეს აღდგენილი ის სახელმწიფოები, რომელნიც 1921-22 წლებში (და არა წლებში, როგორც ეს იყო ზოგ რუსული გამოცემებში) გახდნენ დამოუკიდებელი და საერთაშორისო ცნობა ქონდათ მოპოვებული, რომელთა შორის სახელმწიფო ნახსენებია საქართველო და ბალტიის ქვეყნები.

მაგრამ ამ საკითხს მოყვა სულ სხვა გართულება, იგი დაზარალებული იყოფდა ორ კატეგორიით, პრივილეგიურათა და არა პრივილეგიურათა, რასაც შეეძლო გამოეწვია უკმაყოფილება ერთნებნათა ბლოკში. ეს გამოსწავიდა კიდევ ზოგიერთების ნათქვამიდან. ჩვენმა დღეგატებმა

რუსების განცხადება მიიღეს. მაგრამ მისი შეტანა წესდებაში არ მოუთხოვიათ. ერთობა დაზარალებულ ერებთან არჩიეს ჩვენი პრივილეგიების წინ წამოჭიმვას, რადგან გამარჯვებას ერთობა სწყვეტს და არა უპირატესობათა დეკლარაციები. ვინ დაგვძრავს ამისათვის? მით უმეტეს, რომ იმავე პოლიტიკურ პროგრამაში შეტანილ იქნა მუხლი (11), რომელიც მოითხოვს „სს.რ.კ. საგარეო აგრესიულ პოლიტიკის ლიკვიდაციას და გადაჭრით უარს ამბობს ივნისის აგრესიის აქციები (იქვე). და ვინ იტყვის, რომ ჩვენი ქვეყანა ასეთი აგრესიის მსხვერპლი არ იყოს? მით უმეტეს იმ რუსის ორგანიზაციებიდან, რომელიც თავიანთი აღიარებს საქართველოს დაპყრობის უკანონობა და მისი დამოკიდებლობის ავტონომიურად აღდგენა.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ იყო სურვილი ეროვნული თვითგამორკვევის განხორციელების გადადებისა კომუნისტ. ხელისუფლების სრულ ლიკვიდაციამდე „მთელი საბჭოთა ტერიტორიაზე“. მაგრამ ეს ბრძოლაში ჩასმული სიტყვები მოხსნილი იქნა და ამ რიგით დარჩა ოდნე ბუნდოვანი, მაგრამ მაინც სულ ადვილად გასაგებები ფორმული, რომ „დემოკრატიული ნების გამოხატულება შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციის შემდეგ“.

როგორც არ უნდა გავიგოთ ეს მუხლი — ერთი უდავოა: ის არას შემთხვევაში არ უარყოფს იმას, რომ თვითიერ ერს უფლება აქვს თუ მისი ტერიტორია განთავისუფლდა წითელი ჯარებისაგან, შეადგინოს თავისი ხელისუფლება, მოახდინოს თვითგამორკვევა და სხ. და ეს კანონში აშკარათ იყო თქმული „პლენუმზე“ და ოქმებისა და იქნება, ცხადია, აღნიშნული. ჩვენს დღეგატებს აქაც ჩვენი ინტერესების დაცვა ყურადღებიდან არ გამოპარვია. კიდევ მეტი: ეს დასაბუთებული იქნა მათგან იმ პრინციპებით, რომ თვითგამორკვევა განუყრელი უფლებაა ერის და მისი რაიმე ვადებით თუ გარემოებით შეზღუდვა — დაუშვებელია.

მგონია აღნიშნულ თითქმის ყველა მთავარი საკითხები, რომელთაც გამოიწვიეს კანონი, აზრთა განსხვავებანი და კომპრომისები. დანარჩენ პოლიტიკურ საკითხებს, ადამიანის უფლებებსა თუ კოლხიზების შესახებ, კანონი არ გამოუწვივია. არც ის გამხდარა სადავო, რომ მომავალში ვინც შემოუერთდება ამ დაჯგუფებას, უნდა დემოკრატიული პრინციპების ნიადაგზე იდგეს.



ძველი რევოლუციის მომხრეთა და დიქტატურის მოტრფილეთაგან გამომდინარე — გამოწვეული არაა მარტო იმ იდეური ნიშანსრუებით, რომ ერის ნამდვილი, რეალური დამოუკიდებლობა, მხოლოდ ხალხის ნებისყოფის თავისუფალი გამოხატულების, ე. ი. მისი სუვერენობის საფუძველზე შეიძლება აეგოს, რომ დიქტატურა და თვითმპყრობელობა შეიცავს ხალხის დამონებას და სახელმწიფო აბარატი (სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა) ამ შემთხვევაში ხდება იარაღი ხალხის ბატონობისა და ხალხის თავისუფლებისა, — არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დღეს გაჩაღებულ პატივმოყვარულ ომში სულიერი განწყობილება და მისწრაფება ფარდის იქით მომწყვდეულ ერებისა, სწორედ დემოკრატიისაკენაა მიმართული და არა ძველი ან ახალი ფორმის დიქტატურის განმეორებისაკენ. და ვინაშე სურს მის სიტყვას იქ, თავისუფლებას მოკლებულ ხალხში გავლენა ქონდეს, თვითონაც დემოკრატიული რწმენით უნდა იყოს გამსჭვალული. მონარქისტები და ფაშისტური ელემენტები ამ ფსიქოლოგიურ ომში მხოლოდ სტალინის დიქტატურას შეუწყობს ხელს.

ჩვენთვის, ეროვნული თავისუფლებისათვის, — ვფიქრობთ, დასაბუთებაც არ უნდა — ასეთი ელემენტების გაძლიერება ან გაბატონება — უდიდესი საფრთხე იქნებოდა. მონარქისტულ ან ფაში-

სტურ რუსეთისაგან ქართველი ერი (და სხვებიც) გარდა ახალ „საპრობლისა“, რას უნდა გამოვლოდნენ? მაშასადამე, მათ გვერდში ამოდგომა, მხოლოდ გათვლაცა იქნებოდა, როგორც დამოუკიდებლობის, ისე ფართო მასების ინტერესების. და ეს ჩამოაშორებდა ამავდროის იმ დიდ ძალას, რომელიც ამ ვაერთიანებას ხსურავს უმაგრებს. უდავოა, „საკაოი რინაცია ცენტრის“ შექმნა, როგორც ამბობს კონსენკე ამ ცენტრის, მჭიდრო თანამშრომლობით „ამერიკული კომიტეტთან“ არის პირველი ნაბიჯი უცხოეთში მომქმედ განმათავისუფლებელ ძალთა შესვლისა საერთო მსოფლიო დემოკრატიულ ძალთა ანტიკომუნისტური ფრონტში“.

ამერიკის და მსოფლიო დემოკრატიასთან „კარების შეღება“ ქართული განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის უდავოთა დადებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს და ამ შეთანხმების აქტივში უნდა ჩაირიცხოს.

„პლენუმმა“ აირჩია აღმასრულებელი ბიურო რომელშიაც ხ უ თ ი რუსის და ხ უ თ ი არარუსის ე რ ე ბ ი ს წარმომადგენლებია.

მუშაობას განაგრძობს რადიო-კომისიაც. ახლო მომავალში უნდა მოწვეულ იქნეს ამ ბიუროსაგან პლენუმი, რომლის შემდეგ შესდგება სრული ყრილობა იმ 60 პირისა, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

კ - ძე.

ამერიკის „ჩართვითა დემოკრატიული კავშირი“

ჩვენ მივიღეთ ვრცელი დეკლარაცია და წესდებდა „ქართველთა დემოკრატიული კავშირის“ ნიუ-ორკში.


ამ დეკლარაციაში აღიარებულა ის უდავო დებულება, რომ 1948 წ. დასრულდა ერთი ეტაპი საბჭოთა შესახებ დარჩენილი ილიუზიების და მსოფლიო ორ მთავარ, ურთი-ერთის მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო: „ერთი მხრით საბჭოები თავის სატელიტებით, მეორეს მხრით დასავლეთის დემოკრატია შეერთებულ შტატების მეთაურობით“, რომელიც „შეგებულათ ებრძვის კომუნისმის აგრესიას, როგორც პოლიტიკურ-დიპლომატიურ საზიებელზე, ისე იარაღით ბრძოლის ველზე“. რომ „დასავლეთის მოწინავე კულტურა და ცივილიზაცია თავის მსხენელს ამ ახალგაზდა, ძლიერ და ენერგიულ სახელმწიფოში ხედავს“.

ცხადია, როცა ქართველი ერი — ძალით და-

პრობილი მოსკოვის ბანაკშია იარაღით ჩაქედნილი და არ აქვს საშვალება დამპყრობელთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა აწარმოვოს, ეს მოვალეობა ეკისრება ქართველ ემიგრაციას. „დღევანდელ მომენტში — განაგრძობს დეკლარაცია — ქართული ემიგრაციის ადგილი ვარკვეულია; იგი ყოველთვის დასავლეთის დემოკრატიის მხარეზე დგას“.

საქართველოდან წამოსული მთავრობის არსებობა უცხოეთში დიდ კოზირს აძლევს მას „საერთაშორისო ასპარეზზე ერის უფლებათა დასაცავათ“.

აღიარებს რა მთელი ემიგრაციის გაერთიანების აუცილებელ საჭიროებას ზემო აღნიშნულ პრინციპების გარშემო და აღნიშნავს რა სამწუხარო მოვლენას მისი განხეთქილებისა, ასკენის, რომ „ამისთვის ჩვენს თაობას დააწვება ისტორიის დასაბუთებელი საყვედური“.



„ამ მიზნით და რწმენით 1952 წ. 5 ოქტომბერს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ნიუ - იორკში, დასარსდა ახალი უპარტიო, ნებაცოფლობითი ორგანიზაცია: „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“, რომლის წევრი შეიძლება იყოს ყველა, ვინც დემოკრატიულად აზროვნობს და თავისუფალია ყოველგვარ ტოტალიტარულ-დიქტატორული სულისკვეთებისაგან და რომელიც მზათ არიან დაეხმარონ ამერიკის კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღდგენაში“.

კავშირი მიზნათ ისახავს, ფართო პროპაგანდა გასწიოს საქართველოს უფლებების და ინტერესების დასაცველად ამერიკის საზოგადოებრივი აზრის წინაშე, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს „ამერიკული კომიტეტს“ და სხვა ამერიკის ორგანიზაციებს, რომელნიც მოსკოვის დიქტატურის დამსობას და ერთა განთავისუფლებას ისახავს მიზნათ.

„ქართველთა დემოკრატიული კავშირი“ თანამშრომლობს საზღვარ-გარეთ მყოფ საქართველოს მთავრობასთან და სურს ხელი შეუწყოს მას საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული წყობილების აღდგენისათვის ბრძოლაში.

„ქართ. დემ. კავშირი“ ხელს შეუწყობს აგრეთ-

თვე „ქართული ეროვნულ საბჭოს“ და სხვა ქართულ ორგანიზაციებს, თუ ეს ორგანიზაციები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ნიშნად გეგმიურად და ურეზერვოთ დგანან და ამ საერთო მიზნის მისაღწევად გულწრფელად და საქმიანად ცდილობენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გაერთიანებას“.

იგი თავის მოქმედებას უფარდებს ამერიკულ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს; აგრეთვე ყველა საბჭოებიდან დაჩაგრულ ერთა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან აბაძს ურთიერთობას.

ბოლოს „ქართ. დემ. კავშირი“ მხურვალედ მოუწოდებს საზღვარ-გარეთ მყოფ ყველა სათვითმომგზავნის, პარტიების, თავისუფალ ორგანიზაციებს და თვითვე ქართველ მამულიშვილს შეიტანონ თავის წვლილი ერთიანულ პოლიტიკური მთლიანობის საქმეში, გაერთიანდნ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი საერთო მიზნის — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის განხორციელებაში.

ამ დოკუმენტს ხელს აწერენ: ალ. სულხანიშვილი, იგი კობახიძე, ივ. ნანუაშვილი, ის. გაყონის, ვახტ. აბაშიძე, გიორგი ლოღობერიძე, სანდრო ბარათელი.

ნიუ - იორკი, 5 ოქტ. 1952 წ.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი კ რ ა მ ს ი ღ ა ნ

„ქართული პოლიტიკური ცენტრი“ შემოკლდა შემადგენლობით, სამაგიეროთ გარკვეულ სახეს იღებს იდეოლოგიურად.

რას აკეთებენ ამ ცენტრის მოღვაწენი, გვიჩვენებს და ვიმეორებთ, არაფერ უწყის. ვიცით, გაგონებით, რომ მოგზაურობენ ხან ლონდონში, ხან მიუნხენში, უფრო ხშირად ამ გერმანიის ქალაქში, სადაც მათი მთავარი და მომვლელი ბ. კანტიმირი, მაგომა და ჟურნალი „კავკასი“ იგულვებათ. მოგზაურობენ ამ საქართველოს ამკარს მოწინააღმდეგებთან სასაუბროთ და გეგმების დასაწყობათ. საჯაროთ თავის ნამოქმედარის გამოუტანს მათ არ გაუბედნიანთ ამ ორი წლის განმავლობაში. ისინი მხოლოდ „კრიტიკოსის“ როლით ითბობენ ხელს. კრიტიკა, და მით უმეტეს უკუდი კრიტიკა, ადვილია, ვინემ „კარგი საქმიანობა“.

ამ შენიშვნაში ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნი-

შნოთ ის „კუნჭული“ მათი გულის ზრახვებისა, რომელიც მათ შეიძლება თავისდაუნებურად გამოაჩინეს.

მათი ფურცლიდან გვცოხილობთ, რომ „ქართულ პოლიტიკურ ცენტრს“ არ უყვარს ვისბადენის პოლიტიკა. ეს გასაგებია; სავალდებულოც მათთვის. მაგრამ მათ არ მოსწონს არც 1917 წლის რევოლიუციის იდეები და არც მისი შედეგები; ეს სრულიად ახალი ამბავია. ამ 17 წლის რევოლიუციის იდეებს, აღტაცებით შეეგება მთელი განათლებული კაცობრიობა, აღტაცებით გამოეხმაურენ 35 წლის თავზეც მთელი რიგი გამოჩენილი ამერიკელი მოღვაწეების ყველა წრიდან: რესპუბლიკელები, დემოკრატები, ინტელიგენტები, მრწველები თუ მუშათა კავშირების მეთაურები, ყოფილი პრეზიდენტი, სენატორები, დეპუტატები და სხ. მათი მოწოდება დაბეჭდილი იყო ჩვენი ჟურნალის № 3-ში.



მაგრამ სულ სხვა გვარათ აფასებენ ამას ჩვენი „ცენტრისტები“. ამ რევოლუციის მათ არსფერი სწამთ, მისი შედეგებიდან დაუნახავთ მხოლოდ ბ. კერენსკის სასუსტე და ბოლშევიკების გაბატონება. მაგრამ დავიწყებით, ან ვერ შევუმჩნევიათ ის, რაც ჩვენ მოგვითანა ამ რევოლუციამ: თავისუფლება, 26 მასის, დამოუკიდებლობის აქტი, ქართველი ერის მთლიანობა, ხოლო შემდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლაში ერთსულადიანება.

სამაგიეროთ, მათ მშვენივრათ ახსოვთ და მოსწონთ კიდევაც თეთრი რუსების მოძრაობა, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს წალეკვა კომუნისტებზე ადრე ქონდა განზრახული და რაც შეეძლო, ცდა არ დაეკლიათ ამ მიმართულებით.

აი ამ თეთრებს, რუსულ სინამდვილეში „ერთის განუყოფელის“ გაშინაგებულ დამცველებს ჯცმევს გუნდრუქს „ქართული პოლიტიკური ცენტრი“. ის მათთანაა სულით და რწმენით. აი ამონაწერი:

„როდესაც კერენსკი გამოჩნდა ხუთი სუსტი თუ სავსებით ფიქტიური რუსულ სოციალისტური და დემოკრატიული ორგანიზაციების სათავეში თავის ფიქტიურ, მაგრამ გარეგნულად დიდი ანტიბოლშევიკური ეგემებით, 412 რუსულ ორგანიზაციამ მკაცრი პროტესტი გამოაცხადა. ამათ შორის იმყოფებოდნენ ყველა ის სამხედრო ორგანიზაციები და პოლიტიკური დაჯგუფებები, რომელთაც უბრძოლიათ წარსულში, ეხლაც იბრძვიან და მომავალშიც იბრძობენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. როდესაც ვისაუბრებდნენ თავის საქმეში ჩართვიან ქართული, სხვა ეროვნებათა დაჯგუფები თუ ცალკე პიროვნებანი, ამან ასეთივე მკაცრი დაგმობა გამოიწვია ამ ეროვნებათა აქტიურ ემიგრაციებში. თუ ვინმე ანტიბოლშევიკურ ძალების კოორდინაციას დაისახავდა მიზნათ, მას რუსულ და სხვა ეროვნებათა ამ მებრძოლ ორგანიზაციებიდან უნდა დაეწყოს და არა თებერვლის რევოლუციის უსულო და უსხეულო ნაშთებიდან. ამ ძალებს არ დასჭირდებოდათ დამამცირებელი ვაჭრობის წარმოება საერთო ბრძოლის დროშისა და მთავალის მიზნების შესახებ. ისინი არ მოსთხოვენ ერთმანეთს იმ დროშის შეცვლას, რომლის ქვეშ ისინი აწარმოებდნენ ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან მათ კარგად უწყიათ რომ ვინც ბრძოლის პროცესში იცვლის დროშას, ის ამ ბრძოლას სტოვებს და ბრძოლისათვის გამოსადექი აღარ არის. ეს ძალები განსაკრძობდნენ ბრძოლას იმ დროში, რომლის ქვეშ იბრძოდნენ ათეულ წელითა მანძილზე. ამის წინაშე მდგა-

რი მახლობელი და შთავარი საერთო მიზანი — ბოლშევიკური წყობილების დამხობა, უთუოდ საკმაო იქნებოდა მათი ძალების კოორდინაციისათვის და მათ შორის კეთილ-შობილი მხედრული კავშირისა და ურთიერთობის დამყარებისათვის“.

აქედან ცხადი ხდება მთელი სულისკვეთება „ქართული პოლიტიკური ცენტრი“-ს მეთაურების. რუსებიდან თუ ვინმე მისაღებია ისევ თეთრები, სამხედრო ორგანიზაციები და სხვა რეაქციონური, თუ ძველი რეჟიმის აღდგენის მომხრენი. სხვა ეროვნებიდანაც ამათ გვარივე აქტიურობის მაწარმოებელი ელემენტებია მათთვის უფრო მისაღები და მოსაწონებელი. ხოლო არ მოსწონთ დემოკრატები და სოციალისტები, რომელნიც ეროვნულ საკითხშიაც და კერძო საქართველოს ცნობაშიაც ისე განირჩევიან ამ შავი ლაშქრისაგან, როგორც დღე ღამისაგან. მათ გაუბრძვიან, ვმობენ, აძაგებენ...

დროშა ანტირუსული, რომელსაც ასე დაუბნებთ აფრილებენ ჩვენი ცენტრისტები — ყოფილა თვალთმაქცობა; იგი მიმართულია მხოლოდ მემარცხენ, დემოკრატიულ რუსების წინააღმდეგ. ძველი რეჟიმის, შავი რეაქციის მომხრებთან კი მათთვის ადვილია და სასურველი „კეთილშობილური სამხედრო კავშირის და ურთიერთობის დამყარება“. ასეთ „კეთილშობილ“ ხალხთან „შთავარი საერთო მიზანი“ — ბოლშევიკური რეჟიმის დამხობა, უთუოდ საკმარისი იქნებოდა.

(ჩვენ რაღათ ვვიკაჟინებენ — კომუნისტურ რეჟიმს ებრძვით და არა რუსებს?)

ერთა უფლების ცნობა ამ „კეთილშობილ“ რეაქციონერებს არც კი მოეთხოვება. ნუ თუ არ იციან, რომ ამ საქმე ორგანიზაციების პრესა საუბრით ეროვნებათა და სპეციალურათ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული წერილებით? არ იციან, რომ დემოკრატიულ სექტორს სწორეთ ამ საკითხში დათმობისათვის უცხადებენ პროტესტს და მუქარას*).

თუ იციან და მაინც მათკენ იცქირებიან, მკითხველნი თქვენ განსაჯეთ მათი პატრიოტიზმის ღირებულება.

* ახლა ადვილი არ გვყოფნის და შემდეგში ვეცდებით დაწვრილებით ვაცნოთ მკითხველს ამ „ცენტრის“ სამეგობრო წრეთა შეხედულება საქართველოს შესახებ.



ს ა ბ ზ ო თ ა ო რ ი ფ ი ლ შ ი

პარიზის კინო-თეატრებში დიდი ხდელი და-
უთმეს საბჭოთა ორ დიდ ფილმს: ვლადიმირ
პეტროვის „სტალინგრადის ბრძოლები“ (პირვე-
ლი ნაწილი) და მიხეილ ჭიაურელის „ბერლინის
დაცემა“ (პირველი ნაწილი). როგორც ყველა
საბჭოთა ფილმები, ისე ეს დადგენილიც ახდენენ
„გენიალური ბელადის“ იდეალიზაციას. ამ ფილ-
მებში არის იქნაი უნივერსალურად მოაზროვ-
ნე და ბრბო - მასსა.

„სტალინგრადის ბრძოლებში“ სტალინის მთა-
ვარი პარტიური მარშალი ვასილევსკია, რომე-
ლიც დაგვიწოდებდა გომიასავით შეპყრებებს თავლებ-
ში თავის პატრონს და მისი თვითთელი უესტით
აღბრთოვანებულა. ეს ის მარშალი ვასილევს-
კია, რომლის მიერ იყო დამუშავებული მთელი
რიგი საბჭოთა გეგმები და მის მიერვე იქნა სის-
რულეში მოყვანილი.

პეტროვის „სტალინგრადის ბრძოლების“ მი-
ხედვით კი ვასილევსკის არანცე თუ არ შეუძლია
დაამუშავოს საბჭოთა ოპერაციის რაიმე გეგმე-
ბი, არამედ არც კი შეუძლია ჩაწვდეს გენერალი-
სიმუხის მიერ შემუშავებულ საბჭოთა გეგმების
სიღრმეს, მანამ სანამ მისი პატრონი მას კარგად
არ აუხსნის ყველაფერს, წერტილმანებსაც კი, რო-
გორც მასწავლებელი უხეირო შეგირდს.

ფილმში სრულიად ზედმეტათაა „ჩაკერებუ-
ლი“ პრეზიდენტი რუზველტი და მისი ინტერვიუ
ჟურნალისტებთან. არა ბუნებრივი და ნახალა-
დევია პრეზიდენტის მელანქოლიური განცხადე-
ბა, რომ მისი უფლებები შეერთებულ შტატების
საზღვრებს არ სცილდება.

საინტერესოა სცენა — თათბირი პოლიტიკე-
როში. ვასილევსკი იცავს — სტალინგრადის ფრო-
ნტისთვის დაბეზავებულ შეტევის გეგმას; პო-
ლიტიკოსს მთელი შემადგენლობა აქაა. „გო-
ჟდი“ კი ჩიბუხით ხელში, ღრმად ჩაფიქრებული
მძიმეთ დადის.

მოხსენებას ყურს არავინ უგდებს — ყველას გე-
ნერალისიმუსი აინტერესებს; მას უტკეპრიან, მის
მიმოსვლას თვალს აყოლებენ და მოგაგონებს
ჩოგ - ბურთის (ტენისი) შეჯიბრების მაცურებ-
ლებს, რომლებიც ბურთის მოძრაობას თვალს აყო-
ლებენ და იძულებულნი არიან თავი სისწრა-
ფით იქით - აქეთ ამოძრან. ხოლო როცა სტა-
ლინი თავის განმარტებით აზრს ჩაუბრუნებს ვასი-
ლევსკის მოხსენებას, მაშინ მეორე ხარისხოვან-
ნი ბელადები, გადაჭარბებული მლიქვნელიური

აღბრთოვანებით, თვალს დაჭყეტილი, ყველა-
ნი ერთად მისკენ მობრუნებულნი უსიტყვოთ ქე-
ბას უძღვნიან თავის პატრონს.

ბელადი ხშირად იძულებულია — მთელ მსოფ-
ლიოში „დაწინაურებულ საბჭოთა ინტელიგენ-
ციას“ აუხსნას განსხვავება საერთო შეტევასა და
კონტრაშეტევას შორის. რამდენად ყალბი პათო-
სითაა მალენკოვის მოწოდებითი სიტყვა წარმო-
თქმული სტალინგრადში, განაწამები ხალხის და
სტალინგრადის დამცველი მუშა „მოხალისეთა“
წინაშე: — ამხანაგებო, სტალინი თქვენთანაა!..
რა დიდი იმედია ტირანის ყოფნა დამშეულ ხა-
ლხისათვის, რომლებსაც კარგად ახსოვთ გუშინ-
დელი დღე ენკავდის თარეშისა მათ ზურგზედ.
რა ყალბათ უღერს ბელადის პირიდან ომის მიერ
გამოწვეული უბედურება.

ტენიკური თვალსაზრისითაც „სტალინგრად-
ის ბრძოლები“ არა მალალო ხარისხისაა. ხში-
რათ დეკორაციები „უბრალო“ მაცურებელთათ-
ვისაც კი შესამჩნევია. ცუდათაა გაკეთებული,
მთელ რიგ შემთხვევაში „მკაიყი“. რუზ-
ველტს მანამდე ეძირ ეცნობილობთ, სანამ მის სა-
ხელს და ტიტულს არ ახსენებენ. სწორედ ამის
შემდეგ ვგებულობთ, რომ „ის“ პრეზიდენტი რუ-
ზველტი უნდა იყოს.

ყალბათაა ვაგებული, როგორც დამდგმელის,
ისე შემსრულებლების მიერ ფსიხოლოგიური
მომენტი — კრემლისტების „ჩვენა და სიმშვი-
დე“. თუ პოლიტიკოსს შემადგენლობა დაბა-
ლი ხმით ლაპარაკობს, მანამამდე — გამართლე-
ბულია ბელადების როგორც სიმშვიდე, ისე რუ-
შენა გამარჯვების — რის გამო ხშირათ მათი
დიალოგი ან სიტყვა მაცურებლამდე ეძირ აღწევს.
ამას უპირდაპირდება ჰიტლერის ბანაკში გადა-
ჭარბებული ნერვიული ყვირილი და პრანჭვა-
გრეხვა.

„ბერლინის დაცემა“ ეკუთვნის ჩვენს თანამე-
მაბლე მიხეილ ჭიაურელს*), რომელიც უყოყ-
მანოთ და აშკარად ჩადგა რუსულ კომუნისმის
სამსახურში. ჭიაურელი ჩვენთვის საკმაოდ ცნო-
ბილია, როგორც რეჟისორი - დამდგმელი. ის
ყველგან და ყოველთვის სტალინს ხედავს, ის

*) მან დღეს დიდ წარმატებას მიაღწია. მოსკო-
ვის სახელმწიფო საკინემატოგრაფიო ინსტიტუ-
ტის ერთი მთავარი პროფესორთაგანია, ამბობენ,
აქ გარჩეული ფილმის გამო. რედ.



ი ზ ე ბ ა ლ ა მ რ ა ვ ლ დ ე ბ ა

როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ, ე. წ. „ქართული პოლიტიკური ცენტრი“-ს შემადგენლობა საქრობლობათ შემცირებულა. მის „მრავალ“ პარტიათა „წარმომადგენლობიდან“ ცენტრს ჩამომორიდენ მემარჯვენე წრის წარმომადგენელი — ბ. მანველიშვილი, სოც.-რევ. პარტიის — ბ. გობეჩია და სოც.-ფედ. სახელით გამოცხადებულნი ბ. მაჭავარიანი.

თუმცა ეს პირები „დიდ“ ორგანიზაციებს არ წარმოდგენდენ, მაგრამ სახელათ მანც მრავალ ფეროვნებას მატებდენ ამ „ცენტრს“. ახლა ეს მოჩვენებაც გამქრალათ უნდა ჩაითვალოს. „ცენტრ“-ში რჩება — ნაციონალ-დემოკრატიების ნაწილი და მისი დამატება „თავისუფალი ქართველ“-თა უმნიშვნელო წრე. და თუ ვინმე აქამდე შეცდომაში შეყავდათ ამ „ცენტრი“-ს მომწყობთ, დღეს იმათაც უნდა თვალი გაახლონ. ამ „შესუსტების“ შედეგი უნდა იყოს, რომ დარჩენილი ნაწილი ასე ახლო მეგობრული დამოკიდებულებაში შევიდენ ბ. კანტემირის და მისი გაზეთის „კავკაზი“-ს მიმდევრებთან, რომელთაც ისე უყვართ საქართველო, როგორც ძალს პური.

მეორე მხრით, არც იმის გარანტია არსებობს, რომ გასულნი და უკმაყოფილონი კიდევ ახალ „კომიტეტს“ არ დაარსებენ. „ცენტრი“ და „კომიტეტი“ ახლა მთავრულ სენათ არის გადაქცეული, საწმუხაროთ ჩვენდა. ასეთი სიმრავლის და

უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ ისინი ადვილათ ხთებიან მსხვერპლი სხვადასხვა ავანტიურისტულ და საერთაშორისო აგენტურათა, (რომელთა შორის, უეჭველია, საბჭოთა აგენტებიც დაძრწიან), პროვოკაციის.

ამიტომ ჩვენ ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია გაფართოვლოთ საზოგადოება ასეთ თვითნებურათ აღმოცენებულ უპასუხისმგებლო ცენტრობისაგან, რომელნიც, სხვა რომ არა იყოს რა, მარტო თავის არსებობით ერთ სახეობას უკარგავენ ქართულ წარმომადგენლობას და ამით უეჭველ შეინანს აყენებენ საქართველოს ღირსებას და მისი ინტერესებისათვის ბრძოლას...

„სახალხო სამხე“

არგენტინიდან მივიღეთ მშვენივრათ გამოცემული, საგანგებო რვეული ზემო მოყვანილი სათაურით, რომელიც ერთიანად მიძღვნილია სოციალისტ-ფედ. პარტიის 50 წლისთავისადმი.

რვეულში მთავსებულთა წერილები, როგორც საზღვარ-გარეთ მყოფ სოც.-ფედერალისტთა პარტიის პასუხისმგებელ წევრების, ისე სხვა ქართველ მოღვაწეთა, როგორ მის. წერეთელი, ინგილო და სხ.

სოც.-დემოკ. პარტიიდან მილოცვები და წერილები უძღვნიათ: ნოე ყორღანიას, ევ. მგებეჭკოუს, გრ. ურატაძეს, კ. გვარჯალაძეს და სხ.

ელანდება, ის ესიზმრება. ყველაფერის ფალსიფიკაციას ახდენს; სამაგიეროდ საკმარისად ღებულობს ორდენებს და „ჯიბის ფულსაც“.

„ბერლინის დაცემა იწყება სტახანოვიზმით, საამჟირო და ბედნიერი ცხოვრებით, მასების აღფრთოვანებით. ყოველი უესტი, მანერა, სიტყვა, ყალბია — სცენიურია; არაფერი საქრთო ცხოვრებასთან არ აქვს. არტისტები თამაზობენ, მაგრამ არ განიცდიან. არ განიცდიან და არც შეუძლიათ განიცადონ ორი მოსაზრებით: 1) მათი როლი, მდგომარეობა, ყალბია, ნაძალადეგია, და 2) ჭიაურელი ჩამორჩენილი, უკულოტურით რეჟისორ-დამდგმელია. ის ძველი კლასის არტისტი. უყვარს არტისტული პოზები, პრანჭვა-გარეხვა. ის გამოდის ადამიანის შინა-ბუნებიდან და გარკვევით მიყვება გენერალური ხაზს კულდათ გაგებულსა და კულდათ დამუშავებულს სცენისათ-

ვის. დაუკვირდით მუშა სტახანოველის საბატეგებულოთ გამართულ სადილის სცენას. კრემლში და დარწმუნდებით ამ სიყალბე-ძალდატანებაში; არც ერთი ხეირიანი „მაკეტი“ ამ ფილმში არ არის. ყუმბარების აფეთქება ჭიაურელიისებურია; სტუდიო ამკარად სჩანს ცუდი ტენიკოსებით და „უგემური“ რეჟისორით. „მსკი აჟი“ ისევე ჩამორჩენილია, როგორც მის სხვა ფილმებში (მაგალითად ჩერჩილი-რუზველტი).

რეჟისორს ძირითად მიზნად დაუსახანეს მოახდინოს გაკარიკატურება მოკავშირეებისა და მათი როლი ნოლამდე დაიყვანოს, მაგრამ ავიწყდება, რომ იმავე ფილმში, სხვა ადგილას მთელი სამხედრო ოპერაციები მოკავშირეთა ტრანსპორტით სწარმოებს.

კულდათ გაკეთებული კული პროპაგანდას.

ახალი.



იოსებ არონის კი ელიგულაუზილი

პარიზში, მძიმე ავთიმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა, ჯერ კიდევ ახალ - ეზარდა, დამოუკიდებელი საქართველოს ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრის ამხანაგი — იოსებ ელიგულაუზილი. მისმა ასეთმა უდროვით დაკარგვამ გული დასწყვიტა ყველა მის ნაცნობ - მეგობრებს. იოსები იყო აგრეთვე წევრი ქართული ეროვნულ საბჭოსი.

დასაფლავებას მრავლათი დაესწრო მისი: ბატონი მცემელი, როგორც უცხოელები, ისე ქართველები. დაესწრო ჩვენი მთავრობის სრული შემადგენლობა, მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნი ნ. ყორღანიას თანდასწრებით და საქ. ელჩი — აკ. ჩხენკელი.

ბ. კ. კანდელაკის სიტყვა თქმული სასაფლაოზე

განსვენებული იოსებ ელიგულაუზილის ბევრი იცნობდა ჩვენში, როგორც ქართველ ეზრადელს, პირველად გამოსულს სახელმწიფო მთავრობის ასპარეზზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს. მაგრამ ბევრი არ იცნობდა იმას, როგორც ადამიანს, როგორც მოქალაქეს, როგორც ქართველ პატრიოტს.

დაბადებული ქართველი, ტრადიციონალათ ყოველივე ქართულის მოყვარული, ძველ ქართველ ეზრადელის ოჯახში, იოსები აღიზარდა ქუთათურ ახალგაზრდობის მუდამ აღტაცებით და მუდამ საუკეთესო მისწრაფებებით აღსავსე ატმოსფეროში. ჩაება რევოლუციონური მოძრაობაში საშუალო სასწავლებლის სკამზე, ციხეში იჯდა სულ ახალგაზრდა და ქუთაისიდან გადასახლებულიც იყო.

ეს ის გზა იყო, რომელიც უნერგავდა ქართველ ახალგაზრდობას არსებულ რეჟიმისადმი უკმაყოფილებას და მას თავიდანვე რუსეთის თვითმკობელობის წინააღმდეგ რაზმავდა.

უმალეს სასწავლებელში იგი სტუდენტების მოწინავე ფრთას ეკუთვნოდა და თუ პრაქტიკულათ რევოლუციონური საქმიანობაში ჩაბმული არ ყოფილა, მეცნიერების იმ დარგს და იმ მიმართულებას მიყვებოდა, რომელიც მას დემოკრატიულ მსოფლმხედველობას უნერგავდა და საზოგადო საქმესთან დაახლოებას აყვარებდა. იგი ფართო საერთო განათლების და ეკონომიური ცოდნით აღჭურვილი პიროვნება იყო, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან საჭირო და გამოსადეგი კაცი. კარგი ქართველი სულით და გულით, იგი იმ-

სასაფლაოზე პირველი სიტყვა ფრანგულ ენაზე წარმოსთქვა ეზრადელების დიდმა რაბინმა, მთავრობის სახელით ქართული და ფრანგულ ენაზე — ბ. კ. კანდელაკმა (იბეჭდება აქვე), პარიზის ქართულ კოლონიის სახელით ფრანგულ ენაზე ბ. ე. ინჭირველმა და პარიზის სოც.-დემ. კომიტეტის სახელით ბ. ვ. ჩუბინიძემ.

„მებრძოლი საქართველო“ — ს რედაქცია, რომლის სახელით დასაფლავებას დაესწრო ბ. გრ. ურატაძე, თავის ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იოსების უდროვით გარდაცვალების გამო და სამძიმარს თველის მის მეუღლეს და ნათესავებს.

ავე დროს ბატონი მცემელი იყო თავის წინაპართა სარწმუნოების; და რადგან ორივე მხრით — როგორც ქართველი და როგორც ეზრადელი — იგი შევიწროებას განიცდიდა პოლიტიკურათ, იოსები რუსეთის თვითმკობელობის რეჟიმის წინააღმდეგი და მტერი დაიჩა სამუდამით.

ამიტომ მისი გატაცება დიდი იყო, როცა მას სამგალები მიეცა თავისი ცოდნა თავისუფალ ქვეყნის, დამოუკიდებელ საქართველოს, სამსახურში ჩაყენებისა.

მალიე, ძალიან ახალგაზრდა, იოსებ ელიგულაული ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე იქმნა მოწვეული. ზოგს ეს გარემოება შიშს ჰგვირია, შეეფერება ეს ახალგაზრდა კაცი ამ დიდ თანამდებობასო? მაგრამ, როცა მას საქმეზე საუბარში გაეცნობოდენ, იგი თვით ძველ და გამოცდილ ქართველ დიდი მოხელეების და საქმის კაცების ყურადღებას და ბატონიცემის იმსახურებდა.

საქართველოს ოკუპაციის და უცხოეთში გადმომხვევა, მისთვისაც ისე მწარე იყო, როგორც დიდი უმრავლესობისათვის. დიდი ოჯახი — სულ 28 სული ეართო, იტყოდა განსვენებულის მამა — მისი ზრუნვის საგანი იყო დიდი ხნის განმავლობაში და თავის დიდი ენერგიით იოსებმა შესძლო ეს მრავალრიცხოვანი ოჯახი საკუთარი ფეხზე დაეყენებია.

ამავე დროს, იგი უხვი იყო სხვებისათვისაც დახმარებაში; ძვირათ მოხდებოდა, თუ ვაჭირებდაში ჩავარდნილი მას მიმართავდა, მას ხელი არ გაემართა.



მოხუცებული თავმჯდომარის ოფიციალური განცხადება

სამშაბათს, 25 ნოემბერს სოფელ აბონდანში, ოფიციალურად გაიხსნა ქართველ და უკრაინელ მოხუცთა თავმჯდომარეობა.

გახსნას დაესწრენ: აღმშენებლობის მინისტრი კლოდიუს პეტეი, ადგილობრივი პრეფექტი და მისი მოადგილე ოთხი სამინისტროების წარმომადგენლები, ორი ელჩი (ამერიკის და ინგლისის), ორი ადგილობრივი დეპუტაცია ახლო მდებარე ქალაქებისა და კონუნების მერები და ბევრი კიდევ სხვა ოფიციალური პირები, როგორც მაგ. კათოლიკეთა ასოციაციითა ორგანიზაციები. იყვენ აგრეთვე უზრუნველყოფის და ფოტოგრაფები. მოწვეულნი იყვენ აგრეთვე ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარე და ოფისის დირექტორი.

მინისტრმა დაათვალიერა თავმჯდომარის, გაცემული დავალებით მისი დაარსების ისტორიის, დაიარა მისი მიღწევები და მოვიდა ალტაცებაში. არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს სხვაგან საფრანგეთში — განაცხადა მან.

ამის შემდეგ გაიხსნა ბანკეტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 60 პირმა. ბანკეტზე წარმოთქმული იქნა სიტყვები: თავმჯდომარის საზოგადოების სახელით ილაპარაკა ქ-ნმა ბიდომ. მან გააცნო დამსწრეთ თავმჯდომარის დაარსების ის-

ტორია და მისი მიზანი. კათოლიკეთა დამხმარე საზოგადოების სახელით ილაპარაკა მისმა თავმჯდომარემ მონსენიორ როდანმა, რომელმაც აღნიშნა კათოლიკეთა საზოგადოების როლი თავმჯდომარის დაარსების საქმეში. ქართული სათვისტომოს სახელით მინისტრს მიესალმა ჩვენი ასოციაციის თავმჯდომარე შ. აბდუშელი. მან გააცნო დამსწრეთ ქართული ემიგრაციის ბედი, აღნიშნა ის მფარველობა, რომელიც საფრანგეთმა გაუწია ქართველ ემიგრაციის მთელი 32 წ. განმავლობაში. გადარჩადა მადლობა საფრანგეთის მთავრობას, იროს, კათოლიკეთა და პროტესტანტთა ორგანიზაციებს იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს ჩვენ სათვისტომოს მოხუცებულთა თავმჯდომარის დაარსებით. მან გამოთქვა მტკიცე იმედი, რომ მორს ალარ პრინს ის დრო, როდესაც ბოლო მოეღება მონობას, საქართველო განთავისუფლდება და მადლიერი ქართველი ხალხი გახდება საუკეთესო მცემბარი საფრანგეთის, ხოლო დღევანდელი ემიგრაცია და განსაკუთრებით კი მისი ახალგაზრდობა იქნებიან ერდგული პროპაგანდისტები საფრანგეთისა და მისი კულტურისა.

ამის შემდეგ სიტყვა მიეცა უკრაინის წარმო-

განსვენებულის თავზე, განსაკუთრებული განსაცდელი გადაიარა საფრანგეთის ოკუპაციის დროს, როცა ებრაელებს ებრაელობისთვის ოკუპანტები საშინელ ზომებს აყენებდნენ, ათასობით და ასი ათასობით რომ სპობდნენ.

მთელი ქართველი ებრაელობა ამ დროს განსვენებულ იოსებთან იყრიდა თავს და მისგან მოელოდა შევლას: მისი ცოდნის, მისი ენერჯის, მისი თავდადების იმედი ჰქონდათ.

იოსებმა მოახერხა მთელი ქართველი ემიგრაციის ერთსულოვნათ ქართველ ებრაელების გადარჩენით დაინტერესება და ამათი საკითხი საქართველოს ისტორიას დაუკავშირა. ამ საქმეში მან როგორც ქართველების, ისე უცხოელების დახმარებაც მოიპოვა და რამდენიმე ასეული ქართველი ებრაელი დიდი ენერჯიული მუშაობით სიკვდილს გადაარჩინა. ამ საქმეში დიდათ ასწია მისი პრესტიჟი უცხოელ ებრაელების თვალში და საქართველოსაც ახალი სიმბატეები შესძინა მათ თვალში.

განსვენებულ იოსების ნოღაწეობის ამ ბრწყინვალე საქმეს ვერ დაივიწყებს ვერც ქართველი

ემიგრანტი ებრაელობა და ვერც საქართველოს ისტორია; რადგან, ამ საქმით აღსდგა უცხოეთში, უცხოელების თვალში, საქართველოს ძველი ისტორიული ტრადიცია, ყველა ერის და ყველა სარწმუნოების პატივისცემის და დაცვის. თერთონ განსვენებული ასე აფასებდა ამას და ამბობდა ხოლმე: „ბევრი, ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩვენ ამ საქმეში, ამას ვერ დავივიწყებთ; მაგრამ ყველაზე მეტად მანც ის ქართველი დაგვეხმარა, რომელმაც საქართველოს ისტორია ეწოდება!“...

ამ ისტორიულ ამბის, საქართველოს ისტორიისთვის სამადლობლო ნიშნით აღსანიშნავათ, მან ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ალარ დასცალდა.

პირად დამოკიდებულებაში საყვარელი ადამიანი, იოსებ ელიგულაშვილი მხურვალე მონაწილე და საჭირო კაცი იყო საზოგადო საქმეში. ამიტომ მას მუდამ კეთილათ მოიგონებენ როგორც პირადი მცემბრები, ისე მთელი საზოგადოება.

მადგენელს ბ. საზონტიცეს, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ უკრაინის ბედია და მადლობა გადაუხადა საფრანგეთს.

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა მინისტრმა კლ. პეტიმ. მან სიმწუხრით მოიხსენია ლტოლვილთა მძიმე სვედარი, გამოსთქვა სურვილი, რომ დროა ბოლო მოეღოს ასეთ ბარბაროსობას, რომლის მოხალხი იძულებულია სთება დასტოვოს თავისი მშობლიური მიწა - წყალი; ხოტბა შეასხა ყველა მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო თავმჯდომარის ორგანიზაციის საქმეში, მადლობა უთხრა აგრეთვე არქიტექტორს და სხვა ტენიკურ პერსონალს, ვინც მიიღო მონაწილეობა თავმჯდომარის შეკეთების საქმეში.

ყველა სიტყვები მოსმენილი იქნა დიდი ყურადღებით და დაჯილდოვებული იყო ტაშით.

დამსწრე.

.....

ერთი მოხსენების ბარჯობა

ამა წლის 8 ნოემბერს, ბ. მ. ტულუშმა მოხსენება წაიკითხა პარიზის ქართულ საზოგადოების წინაშე, ორ ფრიად საყურადღებო თემზე. პირველი ეხებოდა ისტორიულ ამბებს: ქართული სტამბის დაარსების საკითხს არჩილ მეფის მიერ მოსკოვში და მეფე ვახტანგ მეექვსეს უცნობ წერილს საფრანგეთში გამოგზავნილს. მეორე თემა უფრო თანადროული: საქართველოს ორი მეგობარი ბელგიელი მამა პეტრუსი და დებრუკერი. მოხსენებას თან ახლდა ოცდახუთამდე სურათი, ეკრანზე გაშუქებული.

როგორც ცნობილი ფაქტია და მომხსენებელმაც აღნიშნა, არჩილ მეფე პოლიტიკურ სირთულეთა გამო, მოსკოვში გარდისხვეწა 1686 წელს, სადაც ის უკავშირდება ევროპიდან მოსულ განათლებულ პირთ, რომელთა შემწეობით ამსტერდამიდან იწერა ქართული სტამბის შრიფტს და მის გაწყობილ სტამბაში ბეჭდავს დავითნს. მომხსენებელს აღმოუჩენია წერილი არჩილ მეფის ამსტერდამში გავზავნილი. მაგრამ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს არ არის პირველი ქართული სტამბა. 1629 წელს სტეფანე პოლინის და ნიკიფორე იზაქის (იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) მოღვაწეობით პირველი ქართული სტამბა არსდება რომში, სადაც იბეჭდება სამი ქართული წიგნი. ამრიგად არჩილის დაბეჭდილი დავითნი, ქართულ წიგნის ბიბლიოგრაფიაში ითვლება № 4-ად.

დამატებით უნდა აღვნიშნოთ: არჩილ მეფის

სტამბა მოსკოვში მალე შეჩერდა. მისი მუშაობა ამოიწურა დავითნის დაბეჭდვით. ის განაახლეს მხოლოდ ქრისტეფორე ვურსმიშვილის ხელმძღვანელობით 1737 წელს მოსკოვშივე. ხოლო შრიფტი ჩამოსხმულ იქმნა ამ ეშათ პეტერბურგში. ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნები ბიბლიოგრაფიული - ქრონოლოგიურ რიგით 25 37 ნუმრით არის აღნიშნული, რადგან ამათზე აღრე სტამბა გაიხსნა და წიგნებიც დაბეჭდა თვით საქართველოში. პირველი სტამბის მოწყობა საქართველოში, როგორც ცნობილია, ეკუთვნის მეფე ვახტანგ მეექვსეს (1709 წ.). ამ სტამბის შრიფტი გაცილებით უმჯობესია და მხატვრული გაფორმება გამოცემათა გაცილებით მაღალს სდგას. პირველი წიგნი, რომელსაც ვახტანგის სტამბა ბეჭდავს არის სახარება, ქრონოლოგიური რიგით მეხუთე წიგნი. შემდეგ „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ. დიდხანს სადაო საკითხად იყო მიჩნეული თუ საიდან და როგორ მიიღო ვახტანგ მეფემ ქართული შრიფტი. იყო აზრი, რომ ეს ასოები მიღებული იყო ვალახიდან (დღევანდელი რუმინეთის ნაწილი). მომხსენებელიც ეჭვით უყურებდა ამ ფაქტს. მაგრამ, დღეს ეს საკითხი გამოკვლეულად უნდა ჩაითვალოს, ერთი ფრანგ მეცნიერის, ორიენტალისტის ე. პიკოს წყალობით, რომლის შრომა მრავალ ქართველთათვის დღესაც უცნობია, თუმც უკვე 1886 წელს მან გამოკვლევა უძღვნა ზემოხსენებულ საგანს. მან გამოარკვია რომ ვალახიაში (რუმინეთში), ცხოვრობდა ბერი ანთიმოზ ივერიელი ტომით ქართველი. ამ უბრალო ბერს თავის ნიჭით და შრომით მიუღწევია, ვალახიაში უმაღლეს თანამდებობამდე, გამხდარა მიტროპოლიტი. იგი იყო სასტამბო საქმეების დიდი მკოდნი, ხნობით სპეტაკი და რუმინეთის დიდი პატრიოტი (რისთვისაც თათრებმა კიდევ მოკლეს). აი, ამ ანთიმოზ ივერიელს (რომლის გულში საქართველოს სიყვარული არასოდეს ჩამქრალა) ჩამოუსხამს ქართული ასოები, ქართული ენა უსწავლებია მის თანამშრომელ ვალახელ — მიხეილ სტეფანოვიჩისათვის, შემდეგ გამოუგზავნია ტფილისში, და გამოუტანების თან ქართული შრიფტი, რომ ქართველებისთვის ესწავლებია ეს — იმ დროისთვის ფრიად რთული ხელობა. შემდეგში ეს სტეფანოვიჩი ხდება სტეფანესწვილად და მის გამოცემულ წიგნებსაც ასე იწერს ხელს. ამრიგად, დღეს უდაოდ უნდა იქმნეს აღიარებული ვახტანგის სტამბის წარმოშობის წყარო.



სამწუხაროდ, უცხოეთში ძალიან პატარა არის რიცხვი იმ ქართველთა, რომელთაც აინტერესებთ და საშუალებაც აქვთ დღესდღეობის მუზეუმებში და არქივებში უხვად გახსნული ქართული მასალები და ძეგლები ეძიონ და შეისწავლონ. ბ. ტუღუშვილი მსაფრთხის ქორსია ამ დარჯში მოღვაწეობისათვის.

მეორე ნაწილი მოხსენების იხებოდა ორ დიდ ტელევიზიულ საქართველო დიდ მეგობრებს: აკადემიკოს მამა პეტერს და პროფესორ დებრუკერს. მოხსენებელმა, რომელიც პირადად იცნობდა მათ, დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ მათი მოღვაწეობა და სიყვარული ქართველი ერის მიმართ. მამა პეტერსი ათეული წლების განმავლობაში ირკვევდა და აცნობდა უცხოელთ ქართული კულტურის საკითხებს. დებრუკერი ქართული პოლიტიკის საკითხის დიდი მცოდნე იყო, მისი უფლებათა უნაგარო დამცველი.

მოხსენებელს უსათუთო მადლობა ეკუთვნის, რომ ქართველობას საშვალბა მისცა ამ ორ დიდ მეგობრის მოგონებით მანც პატივი ეცა მათთვის.

მაგონდება ქართველობის დამახასიათებელი ერთი ამბავი: ამ უკანასკნელი ომის წინ, უცხოელმა ბალტრუმაიტმა უხარმაზარი შრომა გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე — ქართულ და სომხურ საშუალო სასკოლებთან ხელოვნებაზე ღირსეულად შეფასებული იყო ორივე ერთა შემოქმედებანი. სომხებმა მადლობის და პატივისცემის ნიშნად, დიდი ბანკეტი მოუწყვეს, საჩუქრები მიართვეს, შეაქეს და წააქვეს. ქართველობიდან უბრალო სამადლობელო ბარათიც კი არ იყო გაგზავნილი.

რგანელი.

წმრილი სპარსეთიდან

18 ნოემბერს, 1952 წელს, ქალაქ თეირანში შესდგა კრება, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივ სოც.-დემოკრატიკთან ერთად აქაური ქართველების ყველა დემოკრატიული წევრები, რომლებიც იზიარებენ ქართულ ეროვნულ საბჭოს მიერ აღებული პოლიტიკური ხაზს. კრება გაეცნო ვრცელ იმფორმაციას ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ერთი წლის მუშაობის შესახებ და „ერთსულოვანი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ დღევანდელი რთული და მძიმე საქრთაშორისო მდგომარეობა-

ში კომიტეტს თავის მრავალ-მხრივი მუშაობით ღირსეული ადგილი დაუჭერია ანტიკომუნისტური ბრძოლის საქრთო ხელმძღვანელობაში, რისთვისაც ირანის ქართველობა მათ უღრმეს მადლობას უძღვნის. რაც შეეხება კრესებთან ურთიერთობას, უნდა ვეცადოთ ნომავალში ამ ფრონტზე უფრო მეტად გავაჩალოთ მუშაობა და საერთო ინის გამონახვას. ასეთი ვებეცხათელა სახელმწიფო ვერი დარჩება და აჩრც უნდა დარჩეს ბრძოლის ხაზის ვარჯშე. ქართული პოლიტიკის ხელმძღვანელთა მოვალეობას შეადგენს ამ სწორათ არჩეულ ხაზზე იმუშაონ ენერჯიულათ და მოუპოვონ ჩვენს ქვეყანას გამარჯვება, კრება მუშაობით აღნიშნავს ქართულ ემიგრაციისაში არსებულ არეგ-დარეგას და დარწმუნებულია, რომ ეს დაბრკოლებაც გადალახული იქნება“.

კრება დიდ მადლობას უძღვნის თავის დელიგატს ბ. გ. მოდებაცხ მისი ვრცელი იმფორმაციისათვის, რომელმაც მოგვცა საშვალბა გავცნობოდით საბჭოს და მისი კომიტეტის მუშაობას.

ხელმოწერილია ხუთი პირისგან.

სპარსეთის ქართველებისგან ეროვნულმა ყრილობამ მიიღო მილოცვა და მილოცვასთან ერთად ხუთი დოლარი ჩვენი გახეთის ფონდისათვის, რისთვისაც რედაქცია გულწრფელ მადლობას უძღვნის მათ. ყველა ვახეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკითხველის ყურადღებას და თანაგრძობას. ამიტომ ჩვენი რედაქცია დიდათ აფასებს სპარსეთში მყოფ ქართველთა ასეთ თანაგრძობას და დარწმუნებულია, რომ იქაური ქართველობა მუდმივ კონტაქტში იქნება ჩვენს გახეთთან და მასში მონაწილეობით თუ მის ღირსება - ნაკულეგანებაზე შენიშვნებით დაგვეხმარება მისი შინაარსის გაუმჯობესობაში.

რედ.

კავკასიური საღამო

17 ნოემბერს ამა წლისა, პირველათ მოეწყო უცხოეთში კავკასიის ერთა კულტურული-ფოლოკლორული დემონსტრაცია, მახვიენებელი მათი ისტორიულ ნათესაობის მიუხედავათ თეთულ წევრის თავისებურობის და ორიგინალობის.

განსაკუთრებით კარგათ იყვენ წარმოდგენილი სომხები, როგორც მრავალ-ფეროვნებით, ისე სრულყოფილი შესრულებით, როგორც მუსიკალურ-ვოკალურ, ისე საცეცვაო ნომრების. სა-

ზოგადობა აღტაცებაში მოიყვანა მისიურმა ცეკვებმა. მომხიბლავი იყო მუსიკალური შესრულებანი.

ამათმორის კარგათ წესსრულეს თავიანთი მისიური თამაში, სიმღერა დეებმა ანაიდ და ალის ლავენზიანებმა და მათმა ძმამ პიანინოზედ ეღუარა. მშვენიერათ ითამაშეს ქალიშვილებმა ჰაქიშიანმა და სტასიანმა. კარგი იყო თარისტი გარეგინი, ბენო, ამირალიანი და სხვები.

ასევე ითქმის ახერხებეჯანის მუსიკალურ შესრულებათ. მთიულმა ცეკვამ ძმები კობახიძეებისა — ჩვეულებრივ გაიტაცა საზოგადოების ყურადღება. დიდათ დახელოვნება იმჩნევათ ამ ახალგაზრდებს. და - ძმა წერეთელებმაც დაამშვენეს სცენა ლამაზი, მომხიბლველი ცეკვით. ქართული ახალგაზრდა ხორა ბ. თვალისამვილისა სწორეთ მისალყოცია ქართული საზოგადოებათვის. ახალ-გაზრდებს ნიჭიერი ხელომძღვანელი ყავთ და დიდი ერდგულემა იტყობათ ქართული სიმღერების შესრულებაში. განსაკუთრებით მოხდენილი იყო „სამზობლო“. ვუსურვებთ წარმატებას.

გაგვაკვირვა ბ. შ. აბაშიძის შკოლის არ გამოჩენამ. მას არ შეეფერებოდა არ გამოველინა თავისი ნიჭი იქ, სადაც ქართული სახე უნდა გამოჩნდეს სისრულით. ანას ეერი ვაამართლებს ვერც სასურველი სამკაულის უქონლობა, ეინაიდან ხელოვნებას ამის გარეშეც შეუძლია თავისი არსი გამოაჩვენოს.

მოყვარული.

ბ. ეჭ. ხოჭოლავას ლექცია

7 დეკემბერს მეორეთ წარსდგა ბ. ხოჭოლავა ქართულ საზოგადოების წინაშე. ამ ჟამათ — ადამიანის ადგილი ბუნებაში და მისი მორალის საკითხით.

რასაკვირველია, საკითხს ავტორი ვერ ამოსწურავდა, ეს ისე ფართოა. არც ჰქონია ამის განძრავა, რაც მან აღნიშნა, მაგრამ იქიდან ბევრი რამ იყო ახალი და საყურადღებო ყველა მსმენელათვის.

შინაარსის გადმოცემას აქ არ შეუძლებთ. მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ადამიანში მორალური საქციელი, სიყვარული და პატივისცემა შედგება და ვაამომწვევი ორგანიზმის ჰარმონიული მოქმედების, ხოლო სიძულვილი, ვაჯავრება და მტრობა — დამარღვეველი ამ ჰარმონიის

— და მასასადმი, სიკოცხლის მომსწრაფებელი უნდა ყველასათვის დამაფიქრებელი იყოს.

ლექციამ უტყველათ გამოიწვია ინტერესი, კამათის მსურველებიც. სამწუხაროთ საზოგადოება იმაზე ნაკლები დაესწრო, ვინემ მოველოდით. ხომ არ დაგვეკარგა სურვილი და უნარი მეცნიერულ დარგში ჩახედვის.

მეცნიერებათა მიღწევების ცოდნა, პოპულიარული მოხსენების მოსმენით, დიდათ სასარგებლოა და საჭირო ყველა კულტურული ადამიანისათვის. განსაკუთრებით ცოდნა ადამიანისაგან თავის - თავის, თავის ბუნების, რომელიც დღემდეც „უცნობია“, როგორც გადმოგვცა ლექციონმა. მადლობის ღირსია იგი.

№.

წერილი ჩეხეთის მიმართ

ბ. ჩეხეთო! ნება მომეცით თქვენი პატრიოტული ვახეთის საზღალებით განვატყადო ვაურჩევლათ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციების და მათ ხელომძღვანელთა საყურადღებოდ, რომ მე როგორც პროფესიონალური მუშა - ასოთ - ამწყობი, მზათ ვიყავი ყველასათვის ვამეწია სამსახური ამ დარგში... დღემდის ყველას ვემსახურე. ბევრი უსამოვნო წერილების აწყობა მომიხდა. ვითმენდი. ვეიჭრობდი ყველაფერს ბოლო აქვს; ამ არა პოლიტიკური (იდეოლოგიაზე ლაპარაკიც შედგებია) ხასიათის წერილების წერასაც ბოლო ექნებოდა. არ ვამაროთლდა. მოვსტყუვდი. რაც დრო ვადიოდა მეტი და მეტი ლანძღვა-გინებას დაუქრჩა ადგილი.

ვიმეორებ, როგორც პროფესიონალურ მუშას, ჩემს სფეროში არ უნდა შევიდოდეს ამის გარეგვა, მისი ავ - კარგიანობა, მაგრამ მეც ისეთივე პოლიტიკური ემიგრანტი ვარ, როგორც ყველა თქვენგანი და არ მინდა ვიყო მონაწილე - ხელის შენწყობი; აქ ჩემი სინდისი მიკარნახებს ერთხელ და სამუდამოთ უარი ვსთქვა ასეთი შინაარსის წერილების აწყობაზე...

ვისაც სურს ვამიგებს, ვისაც არ სურს — ნუ ვამიგებს.

ყველას პატივისცემელი
დ. ხელაძე.

შეტდომის გასწორება

„მებრ. საქ.“ მე-7 ნომერში, უკანასკნელ გვერდზე, დეკლავატთა სიაში დაბეჭდილია: „პარინიდან სოც. დემ. ფრაქცია“; უნდა იყოს: „პარინიდან სოც.-დემოკრ. ორგანიზაცია“.